

საბჭოეთის საგარეო ურთიერთობების

ს.ს.ს.რ.
იუსტისსაგარეო
ურთიერთობების
მინისტრის
განკარგულებაში

→ შინაგარეობა ←

- ა. კაჭარავა.—სასამართლოს და პროკურატურის მუშაობა სოფლად.
- კ. ლოლობელი.—რევოლუციური კანონიერება და საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიები.
- ივ. სურგულაძე.—რ.ს.ფ.ს.რ. სისხ. სამ. საპროცესო კოდექსის ახალი პროექტის გამო.
- ი. აფაქიძე.—ქონებრივი დანაშაული 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსში.
- კ. მიქელაძე.—კომლი, როგორც მიწის სარგებლობის სუბიექტი იურიდიული პირის უფლებებით აღჭურვილი.
- კ. პლეტნიკოვი.—სამოქალაქო მოპასუხეები სისხლის სამართლის საქმეში.

ტერიტორიული მასალისათვის.

პ. ქავთარაძე.—თვით მასალა.

პრაქტიკოსის შენიშვნები.

კ. აბაშიძე.—შრომის კოდექსის ახალი მუხლი 931.

შ. ნასიძე.—კომლის გაყრის გარშემო.

ბ. მოისრაფეშვილი.—სამოქ. სამ. საპროც. კოდექსის მე-50 მუხლის შეცვლის მიზანშეწონილობა.

ძრონია.

კანონმდებლობის მიმოხილვა.

ოფიციალური ნაწილი.

№ 6

15 მარტი
1928

1928 წლის 1 იანვრიდან

გ ა შ ი დ ი ს ს. ს. ს. ო. იუსტიციის სახალხო კომისარიატის

ორკვირეული ორგანო

„ს ა ბ ჯ ო ტ ა ს ა მ ა რ ტ ა ლ ი“

„საბჭოთა სამართალი“ ისახავს მიზნად გაუწიოს იდეური ხელმძღვანელობა იუსტიციის მუშაკებს და გააშუქოს სასამართლო-უფლებრივი საკითხები, როგორც თეორიული აგრეთვე პრაქტიკული ხასიათისა საბჭოთა კანონმდებლობის და ხელისუფლების პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მიხედვით.

„საბჭოთა სამართალი“ დიდ ყურადღებას აქცევს სასამართლო მუშაობის პრაქტიკულ მხარეს და დაეხმარება სასამართლოს დარგში ყველა ომუშავეთ საანადო მასალის მაწოდებას, ადამო საკითხების განმარტებით, სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვით, კოდექსების სხვა და სხვა მუხლების ასხნა-განმარტებით და კომენტარებით.

„საბჭოთა სამართალი“ დიდ ყურადღებას მიაქცევს აგრეთვე სასამართლო დაწესებულებებში ბიუროკრატიზმთან ბრძოლას და დაუნდობლად ამხელს იუსტიციის მუშაკთა უარყოფით მხარეებს.

ჟურნალში დათმობილი აქვს ადგილი კენიბანციაკულ, სამილიციო და სისხლის სამართლის სამკაგრო მილიციის მუშაობას.

გარდა თეორეტიული და პრაქტიკული ხასიათის წერილებიანა ჟურნალში არის აგრეთვე უმეღმეი განმარტებები:

საბჭოთა კანონმდებლობის მიმოხილვა, სასამართლოს ცხოვრება, ქრონიკა, ბიბლიოგრაფია, იურიდიული დახმარება (კითხვა-პააუხი), ოფიციალური ნაწილი (დადგენილებები, განმარტებები, ინსტრუქციები, ცირკულარები), ფოსტა, განცხადებები და სხვ.

ჟურნალში თანამუშრომლებთან უმეღმეი კონსანაუმი:
(ანბანზე)

ალხონი ა., ამადლობელი ს., ანდრონიკაშვილი ლ., ბააზოვი გ., გაბაშვილი დ., გალუსტიანი ა., დლოიძე თ. ვარდანიანი ს., ვარძიელი ი., ვაჩიშვილი ა., იუზბაშვილი გ., კაჭარავა ა., კოსტავა ა., კუსიკოვი ა., ლუნკევიჩი ვ., მახარაძე ფ., მესხიშვილი შ., მიქელაძე კ., ნანეიშვილი გ., ნუცუბიძე შ., პავლიაშვილი ი., პლეტნიკოვი კ., როინაშვილი ი., რცხილაძე გ., სიჭინავა ი., სურგულაძე ი., ტალახაძე ი., ტატიშვილი ე., ქავთარაძე პ., ქორქაშვილი მ., შავერდოვი ა., შურლაია ლ., ჩხეიძე ს., ჯაფარიძე ს. და სხვ.

პასუხისმგებელი რედაქტორი: ი. ვაკაშიაძე

სარედაქციო კოლეგია: ა. კაჭარავა, პროფ. შ. ნუცუბიძე, ი. როინაშვილი, ს. ჯაფარიძე, კ. მიქელაძე, პ. ქავთარაძე
ხელის მოწერის ფასი: წლიურად—10 მან., 6 თვით—5 მ. 50 კაპ., 3 თვით—3 მ.
ფასი თითო ნომრისა—50 კაპ.

სამ თვეზე ნაკლები ხალიხმორწარა არ მიიღება.

რედაქციის და კანტორის მისამართი: ტფილისი, ტრიბუნალის ქ. № 32 ტელეფონი № 13—68.

საბჭოთა საბარათი

რედაქციის და კანტორის
მისამართი:

თფილისი, ტრიბუნალის
ძ. № 82

ტელ. № 13-68

ნაღისმოქმადის ფასი:

წლიურად — 10 მან.

6 თვით — 5 მ. 50 კ.

3 თვით — 3 მ.

1 ნომერი 50 კ.

№ 6

15 მარტი 1928 წ.

№ 6

სასამართლოს და პროკურატურის მუშაობა სოფლად.

ამჟამად მიმდევრულია დიდი ყურადღება პარტიისა და ხელისუფლების მიერ სასამართლოსა და პროკურატურის მუშაობაზე სოფლად. ამ მუშაობის შესახებ ბევრი იყო თქმული და დაწერილი, ამიტომ მასზე მკითხველის ყურადღების შეჩერება ჩვენ არ გვსურს, ჩვენი მიზანია აღვნიშნოთ ის ამოცანა, რაც დასმულია ხელისუფლების მიერ სასამართლოსა და პროკურატურის წინაშე და ის ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ ამ ამოცანის სრულად და სისწორით შესრულებას.

ამ ამოცანათა რიგში ძირითადი ადგილი უკავია რევოლუციური კანონიერების განმტკიცებას საკითხს, რომელიც იყო დასმული მე-XIV პარტიკონფერენციის შემდეგ იყო განმარტებული, რომ რევოლუციური კანონიერების განმტკიცება არის საწინდარი სოციალისტური მშენებლობის გაფართოებისა და მისი ჩქარი ტემპით განვითარებისა და რომ რევოლუციური კანონიერების დამრღვეველს წინააღმდეგ უნდა იქნეს წარმოებული უღმრთელი ბრძოლა. მას შემდეგ განვლო სამმა წელიწადი. მიუხედავად ამისა რევოლუციური კანონიერების დაცვის საკითხის პრაქტიკულად გატარება არ არის სათანადოდ დაყენებული. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები კანონებს მაინც არ ასრულებენ, არღვევენ. ასეთი მოვლენა იყო იმის საბაბი, რომ ეს საკითხი ხელახლად წამოიჭრა მე-XV პარტიკონფერენციის შემდეგ, სადაც გამოტანილ იქნა რეზოლუცია ამ საკითხის შესახებ იმ სახით, რომ აუცილებლად იქნეს გასინჯული საბჭოთა კანონების შესრულება თანახმად აშხ. ლენინის და ლენინის პარტიის მითითებებისა, რომლებიც არა ერთხელ იქნა გაკეთებული, რომ მუშები და გლეხები ჩაბმულ იქნენ იმ მუშაობაში, რომელსაც მიზნათ აქვს გამოორკვევა საკითხისა, თუ როგორ ტარდება ცხოვრებაში მთავრობის ღონისძიებანი, და რომ დაწესებულ იქნეს სასტიკი პასუხისმგებლობა იმ თანამდებობის პირებისა, რომლებიც დამნაშავენი იქნებიან კანონების შეუსრულებლობაში. ეს დირექტივა უშალღეს პარტიული ორგანოსი დაქინებით გვიყენებს ჩვენ ამოცანას რევოლუციური კანონიერების დაცვის გაძლიერებისა და გვაყვავებს ვაწარმოოთ ყველა საშუალებით უღმრთელი ბრძოლა საბჭოთა კანონების დამრღვევლებთან.

ჩვენ ძირითად აპარატში მომუშავენი ხშირად არღვევენ კანონებს ზოგჯერ იმის გამო, რომ ისინი მათ არ ესმის, ზოგჯერ კი იმის გამო, რომ არ სურთ მათ დაემორჩილონ. პროკურატურამ, რომელსაც ევალება ზედამხედველობა რევოლუციური კანონიერების გატარებისა, უნდა იცოდეს, თუ როგორ მიმდინარეობს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საქმიანობა; ის უნდა ეცნობოდეს პერიოდულად მასშტაბისა და თემალმასკომების მუშაობას.


ნაკლებ მნიშვნელოვანი არ არის საკითხები სოფლის სინამდვილეში „ბატრაქების“ მდგომარეობისა, მეცხვამუშაოსა და ექიმბაშობასთან ბრძოლის შესახებ. ამ დარგში სასამართლო და პროკურატურა არ აწარმოებს სისტემატიურ და გეგმაწეწონილ მუშაობას. ზოგჯერ ყველა ეს საკითხი ხდება ბრძოლის საკითხად და ეს მაშინ, როდესაც ჩასატარებელია კამპანია, მაგრამ ამის შემდეგ საკითხის ირგვლივ ინტერესი იკარგება და სოფლის ყოფაცხოვრების ეს ქრილობანი ძველებურადვე განაგრძობს თავის გამბრწუნებელ გავლენას. კულაკი-მეცხვამუშაოს ფულისა და ხორბლის გასყიდვას ასიდან ორას პროცენტამდე, რაც ანადგურებს ისედაც სუსტ საგლეხო მუშრუნებას. მიმდინარე წელს ამ მოვლენას შეუძლია თავისი მავნებელი გავლენა უფრო გააძლიეროს მოუსავლობის გამო. ბატრაქი ვერ პოულობს საკუთარი ინტერესის დაცვას, მან არ იცის ვის მიმართოს დაცვისათვის. ზოგჯერ ის ხდება მსხვერპლად მკვლელობისა კულაკის მხრივ, რომელიც მოწადინებულია თავიდან აიცილოს მშრომელისათვის ხელფასის გადახდა. ამაზე არ არის მიქცეული სერიოზული ყურადღება, როგორც პოლიტიკურ ამოცანაზე. სასტიკი ბრძოლა უნდა იქნეს წარმოებული სისტემატიურად, ვიდრე ის არ იქნება აღმოფხვრილი.

შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხია მოსახლეობასთან სასამართლოს დაახლოება და ამასთან დაკავშირებით საქმეთა წარმოების დაჩქარება. სასამართლო ხელმისაწვდომი უნდა იყოს მშრომელ ფართო მასისათვის; სასამართლომ დიდის ყურადღებით უნდა მოეპყროს მათ საჭიროებას, გამოიჩინოს უნარი დაცვის ეკონომიურად სუსტი და იურიდიულად მოუშადაბელი მშრომელისა, რათა ის სისუსტისა და გაუწესებლობის გამო არ დაიჩავროს.

უმეტეს შემთხვევაში გლეხობის ყოფაცხოვრებისათვის მნიშვნელოვან საკითხს შეადგენს ის, რაც ეხება წვრილმან საქმეებს, ეს საქმეები ზერეულ შეხედვით არ არიან ღირის დიდი ყურადღებასა, მაგრამ არსებითად საგლეხო ყოფაცხოვრების დიდ ინტერესს წარმოადგენს: მაგ.: ბაღში ჩასული სხვისი ღორის მოკვლა, საზღვარზე ხის მოკრა, წანახედები, რაც თავის თავად არაფერს არ წარმოადგენენ, მაგრამ სინამდვილეში ეს წვრილმანი მოვლენა იწვევს დაზარალებულის დიდ რეაქციას: თვის გადაწყვეტას, ჩხუბს, რომელსაც ზოგჯერ მოჰყვება ხოლმე დაშავება და ხანდახან მკვლელობაც და სხვა.

მოსახლეობისაგან სასამართლოს დაშორება გლეხობას აკლებს შესაძლებლობას მის მიმართოს დახმარება დაცვისათვის და ამას შედეგად მოჰყვება დაუკმაყოფილებელი უფლებრივი გრძობა, რომელიც ადგილობრივი ხელისუფლების დაუცველობის გამო შელენდება მახინჯ ფორმაში. ამიტომ მოსამართლე მოვალეა ადგილებზე გაარჩიოს ასეთი საქმეები, პროკურორი კი ყურადღებით

1-623



საქართველო

უნდა ეპყრობოქს ამ საქმეებს, აძლევდეს მათ სწორ მიმართულებას, იცავდეს სუსტის და ღარიბის ინტერესებს და ამ მიზნით ეცადოს ჩაებას სასამართლო საქმეში.

სასამართლო მოსახლეობასთან დაახლოება და მშრომელი გლეხობის საჭიროებისადმი ყურადღებით მოპყრობა არის საწინდარი ხელისუფლების ავტორიტეტის განმტკიცებისა. ხსენებული ამოცანის ნაყოფიერად გადაწყვეტისათვის იუსტიციის სახალხო კომისარიატი ამჟამად ამუშავებს საკითხს მცირე მნიშვნელობის სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების გადაცემის შესახებ სასამართლო კომისიებზე, რომლებიც უნდა მოეწყოს თემალმასკომებთან. ამ მხრივ ცოტა რამ უკვე არის გაკეთებული იმით, რომ მცირე თანხის საქმეები, წაახედები და საკითხი ტყის გაჩეხის შესახებ გადაეცა თემალმასკომებს, ცხოვრება დაჯინებით მოითხოვს ქვემდებარეობის გაფართოებას ამ დარგში.

შემდეგი უდიდესი ამოცანა, რომელიც სდგას სასამართლოს წინაშე, საბიუჯეტო სფეროს ეება. ბიუჯეტის სიმტკიცე და მისი უდღეფიციტობა არის საწინდარი სამუშაოს გეგმიანობის და სოციალისტური ამშენებლობის წარმატებით განვითარებისა. ბიუჯეტით გათვალისწინებული შემოსავლის ვარაუდი არ მართლდება იმის გამო, რომ მსხვილ და წვრილ ბურჟუაზიას, მოვაჭრეებს და კულაკებს არ შემოაქვთ შეწერილი გადასახადი. ეს აბრკოლებს ნორმალურ მუშაობას. არის შემთხვევები რომ ფინანსპეტორები ხდებიან ამ კატეგორიის პირთა ძალადობის მსხვერპლი, რომ ისინი თავს არიდებენ აღმასკომების განკარგულებებს და მალავენ დასაბეგვრ ქონებასა და წყაროს და უარს აცხადებენ გადასახადის შეტანაზე. საჭიროა მომეტებული ტემპით ბრძოლის წარმოება ბოროტად განწყობილი არგადამხდლებს წინააღმდეგ რ ასეთ საქმეებზე საჩვენებელი პროცესის მოწყობა.

დიდი ყურადღება მიქცეული ამჟამად ბიუროკრატიზმთან ბრძოლისათვის საბჭოთა აპარატში საზოგადოდ, სასასამართლოში კი კერძოდ. სოფლად მუშაობის პირობებში მოსამართლემ დიდი ყურადღება უნდა გამოიჩინოს საქმის მიღების დროს, თვითეული საქმე უნდა გასინჯოს რათა მის წარმოებაში არ მოხვდეს ისეთი საქმე, რაც მას არ ექვემდებარება. მასთან მას უნდა ახსოვდეს რომ თითქმის ყველა საქმის წარმოებასთან დაკავშირებულია სოფლად პირთა მიელი რიგის გამოწვევა, რომლებიც თუ გამოცხადდებიან, სამუშაოს მოწყობებიან საჭირო დროს და თუ არ გამოცხადდებიან, დაჯარიმებულ იქნებიან. ამას ის შედეგი მოსდევს, რომ საქმეები იდება და ამ ვოლოკიტით ვიწვევთ უკმაყოფილებას საზოგადოდ უნდა იქნეს გადადგმული ნაბიჯი იმ მიმართულებით, რომ არ იქნეს დატვირთული პროცესი მოწმეებით, რაც ამჟამად ემჩნევა სასამართლოს წარმოებას.

ამას გარდა მოსამართლემ უნდა აწარმოოს სერიოზული მუშაობა სახალხო მსაჯულთა გამოსაწვევად, რომლებიც სისტემატურად არ ცხადდებიან. ასეთი გამოცხადება სასამართლოსათვის მტკივან ადგილს შეადგენს. საჭიროა მიღებულ იქნეს ღონისძიება, რომ სახალხო მსაჯულნი არ იქნენ გამოწვეულნი შორეულ ადგილიდან იმ დროს, როდესაც ისინი სასოფლო სამეურნეო მუშაობას ასრულებენ. ამ დროს სახალხო მსაჯულად უნდა იქნენ გამოწვეულნი მოსახლეობის სხვა ფენებიდან, მაგ., მუშა-მოსამსახურეები და სამხედრო პირები. სახალხო მსაჯულებისათვის უნდა იქნეს წარმოებული სერიოზული მუშაობა, რომელსაც მიზნათ აქვს გააცნოს ისინი მათ მოვალეობასთან, გაურკვევს მათ სამართლის და რევოლიუციური კანონიერების საფუძვლები და მათში საქმისადმი ინტერესის გაღვივებით ისინი გახადონ სასამართლოს მომქმედი თანამშრომელნი. საჭიროა აგრეთვე, რომ სახალხო მსაჯულებმა ჩააბარონ თავის ამომრჩეველებს ანგა-

რიში სასამართლოში წარმოებულ მუშაობის შესახებ, სახალხო მსაჯულთა აქტიური მონაწილეობა სასამართლოს მუშაობაში არის საწინდარი მათში იმ ინტერესების გაღვივებისა, რომ რევოლიუციური კანონიერების დაცვა იქნეს გაძლიერებული და ისინი ჩაებან დანაშაულთან ბრძოლის საქმეში.

მაგრამ სასამართლოსა და პროკურატურის წინაშე დასმულ ამოცანის ნაყოფიერად შესასრულებლად საჭიროა, რომ ისინი იყენენ მატერიალურად უზრუნველყოფილი, აგრეთვე მუშაობის შესაფერ პირობების მხრით: მიეცეთ მათ შესაფერი ბინა, სამზავრო ხარჯები, დაევალოს ადმინისტრაციულ ორგანოებს ჯგროვანად შეასრულონ მათზე დაკისრებული დავალიანებანი და სხვ. უნდა აღინშნოს, რომ აღმასკომები არ იჩენენ ამ სფეროში სათანადო ყურადღებას, რაც უნდა მიეწეროს იმას, რომ მათ მიერ არ არის შეთვისებული რევოლიუციური კანონიერების იდეა, აზრი, ასეთი ყოფაქცევა უნდა იქნეს აღმოფხვრილი.

მუშაობის ნაყოფიერების მეორე დაბრკოლება მდგომარეობს სასამართლოსა და პროკურატურის ცვალებადობაში, რის გამო ჩვენ არა გვყავს გამოცდილი და კვალიფიციური კადრი, რომელზედაც შეიძლებოდა უშიშრად დაკისრება იმ ამოცანების, რაც უნდა იქნეს შესრულებული სოფლად. საჭიროა შერჩევა პოლიტიკურის და საქმიანობის მხრივ მომზადებულ პირების, მათი დაცვა მოხსნის შესაძლებლობისაგან ადგილობრივ ვავლენის გამო. საჭიროა მუშაკი გრძნობდეს, რომ ის არის ურყევი, მტკიცე მონაწილე დიადი სახელმწიფოებრივი ფუნქციის შესრულებისა. მაშინ მუშაკში გაღვივდება სტიმული გამოცდილებისა და ცოდნის შექენისა.

ამ მხრივ მოსამართლეები და პროკურორები კიდევ არიან დიადი ჩამორჩენილი. შემადგენლობის სტაბილიზაციის სფეროში მიღწეულია ერთგვარი შედეგი, ამ დეფექტის თავიდან აცილებით და მოსახლეობის ფართო მონაწილეობით კანონების და მართლმსაჯულების დაცვის და განმტკიცების საქმეში სასამართლოსა და პროკურატურის ამოცანა სოფლად სავსებით იქნება შესრულებული და ხელისუფლების ავტორიტეტი და ნდობა სასამართლოსადმი გაძლიერდება.

ა. კაპარავა.

რევოლიუციური კანონიერება და სა-ადგილგაგაულო კოლაზიები*).

საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა თხოულობს, რომ შრომის განაწილება, განმტკიცებული სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში, ისე იყოს განხორციელებული, რომ ეს წარმოადგენდეს სრულ ვარანტიას რევოლიუციური კანონიერების დამკვიდრებისას. ამ მხრივ სახელმწიფო ცხოვრებაში დიადი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია იმ შრომას, რაც სასამართლო ორგანოებს აწევს.

სასამართლოების მიერ კანონების სწორი შეფარდება და სამართლისა და სასამართლოს პოლიტიკის სწორი გატარება ერთია იმ პირობათა შორის, რომლებიც ემსახურებიან რევოლიუციური კანონიერების გამტკიცებას. ამიტომ ეს ამოცანა არ შეიძლება სისწორით იქნეს შესრულებული თუ ის ორგანოები, რომლებსაც ევალებათ განახორციელონ მართლმსაჯულება და ამის საშუალებით ხელი შეუწყონ საბჭოთა ხელისუფლების მიზნების განხორციელებას, არ იქნებიან დაყენებული ერთიანი ხელმძღვანელობის ქვეშ. აქედან ცხადია, რომ მართლმსაჯულების ხაზით რევოლიუციური კანონიერების სწორი გატარება არ შეიძლება, თუ ამა თუ იმ სასამართლო ორგანოების საქ-

* დისკუსიის წესით.

მიანობის მოწესრიგება არ ემორჩილება ისეთ ხელმძღვანელობას, რასაც შეუძლია ამ საქმიანობაში შესწორება შეიტანოს და მასთან უკარნახოს ის ხაზი, რომელიც მათ აყენებს საბჭოთა მიზნების განხორციელების სწორ გზაზე. ამ მხრივ საერთო, ერთიან სისტემის სასამართლოების საქმიანობა ნორმალურ კალაპოტშია ჩაყენებული იმის გამო, რომ მას აქვს ერთიანი ხელმძღვანელობა სასამართლო ხაზით, უზენაეს სასამართლოს სახით. სასამართლოების ერთიანი სისტემა და მასთან დაკავშირებული ერთიანი ხელმძღვანელობა არის ის პირობები, ერთი-ერთმანეთისაგან განუყრელი, რომლებიც ემსახურებიან სასამართლო საქმიანობის წარმოებისა, განხილვისა და გადაწყვეტით რევოლუციური კანონიერების განმტკიცებას.

ამ ზოგად მოსაზრებათა მიხედვით მკითხველების ყურადღების საგნათ ჩვენ ვხდით საკითხს, რამდენად საჭიროა ცალკე საადგილმამულო სასამართლო ორგანოების არსებობა, რამდენად ამ სასამართლოების განსახილველი საქმეები ისეთ თავისებურებას შეიცავენ, რომ ამ უკანასკნელით შეიძლება იქნეს მათი არსებობის გამართლება.

დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც საადგილმამულო დავის განხილვა და გადაწყვეტა გამოეყო საერთო სასამართლოების კომპეტენციას და გადავიდა საამისოდ დაარსებულ საადგილმამულო სასამართლო კოლეგიების გამგებლობაში. ეს დრო საკმარისი იყო, რომ ამ სასამართლოებს და მათზე ზედამხედველ და სასამართლო კონტროლის გამწვევ ორგანოებს გამოეჩინა, გამოემქლავნა საქმიანობის ის მხარე, რაც მოწმობს საბჭოთა პოლიტიკის სწორ გატარებაზე საადგილმამულო საქმეებში. ამ ხნის განმავლობაში უნდა შექმნილიყო ყველა მთავარ საკითხებზე თუ არა, ზოგიერთებზე მაინც ისეთი პრაქტიკა, რომელიც უნდა მოწმობდეს ამ საქმეების გადაწყვეტის ხაზით საბჭოთა პოლიტიკის განმტკიცებას. მაგრამ სინამდვილე სულ სხვა სურათს გვაძლევს. საადგილმამულო სასამართლო საქმეების განხილვა და გადაწყვეტა რაიონის საადგილმამულო სასამართლო კოლეგიების მიერ და მათი გასინჯვა სამაზრო საადგილმამულო კოლეგიების მხრივ და აგრეთვე ზედამხედველობის წესით საბოლოოდ გადაწყვეტილი საქმეების გადასინჯვა მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატის საადგილმამულო საბჭოს მიერ არ იძლევა იმის მასალას, რომ ვთქვათ, რა გაკეთდა ამ სფეროში, რამდენად საადგილმამულო სასამართლოების საქმიანობის ხაზი სწორდება, რამდენად ამ სასამართლოების პოლიტიკა შეფარდებულია კანონმდებლობისა და საბჭოთა ხელუსუფლების ძირითად პოლიტიკასთან. ცხადია, რომ იმ პირობებში, როდესაც ამ კოლეგიებს არ აქვს საერთო სასამართლო ხელმძღვანელობა, როდესაც არ არსებობს ისეთი ორგანო, რომელსაც შეუძლია უკარნახოს თავისი განმარტებებით სწორი ხაზით გატარება სამართლისა და სასამართლოს პოლიტიკისა და ასეთი სახელმძღვანელო განმარტებანი არ არის, არ შეიძლება ითქვას, რომ მართლმსაჯულება სდგას ან შეიძლება იდგეს მკვიდრ ნიადაგზე.

საადგილმამულო საქმეების სასამართლოს წესით განხილვის დარღვევა არ გაკეთებულა ისეთი რამ, რაც მოწმობს, რომ რომელიმე საადგილმამულო სასამართლო სისტემაში მყოფი ორგანო ხელს უწყობს ერთიანი პოლიტიკის გატარებას. საკმარისია ვადისინჯოს ის საქმეები, რომლებიც განხილულნი იქნენ საადგილმამულო და სამაზრო სასამართლო კოლეგიების მიერ და რომლების შესახებ შეტანილი იქნენ საჩივრები ზედამხედველობის წესით რესპუბლიკის პროკურორის წინაშე, რომ დაერწმუნდეთ იმაში, რომ ამ სასამართლოებს არ აკავშირებს სამართლისა და სასამართლოს პოლიტიკის ერთიანი გაგება და განმარტება. ერთად ერთ ნაბიჯი ამ მიმართულებით გადადგმულ იქნა უზენაეს სასამართლოს პლენუმის მიერ, რომელმაც ვაუწყა რა ანგარიში ამ დარღვევი არსებულ უმწიკო მდგომარეობას, გამოსცა ავტორიტეტული განმარტებანი მიწის

კოდექსის ზოგიერთ მუხლებსა, რომლებსაც პრინციპი-აღიარებული მნიშვნელობა აქვთ. მაგრამ ეს მუშაობაც არ არის საკმარისი. საჭიროა მუდმივი ხელმძღვანელობა, რომ საქმე ამ სფეროში გამოსწორდეს, გლახობის ინტერესები სავესებით იქნეს დაკმაყოფილებული და მასთან სამართლის პოლიტიკა სისწორით იქნეს გატარებული.

აღნიშნულ პირობებში ასეთი სასამართლოს არსებობა გამართლებას ვერც პოულობს და ვერ იპოვნის მას იმ პირობაში, როდესაც ჩვენ გვაქვს დიდი და ფართო ქსელი სახალხო სასამართლოებისა, რომლებიც ახლო სდგანან გლახობასთან და რომლებსაც მოაზრებული აქვთ დიდი გამოცდილება და ცოდნა სამოქალაქო დავის განხილვა—გადაწყვეტაში და როდესაც საადგილმამულო დავა არ წარმოადგენს ისეთი რიგის საქმეს, რომლების გადაწყვეტა აღემატებოდეს ერთიანი სისტემის სასამართლოების ძალას და უნარს. საადგილმამულო სასამართლოების არსებობა არ შეიძლება გამართლებულ იქნეს მაშინაც, კი, საადგილმამულო საქმეების განხილვა თხოულობდეს სპეციალურ ცოდნას და მიდგომას. საკითხისადმი. ასეთ მიდგომას ეკარგება ყოველგვარი მნიშვნელობა იმ პირობაში, როდესაც საადგილმამულო სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარე მოსამართლეა, ხოლო ერთი წევრი არის მაზრალმასკომის წარმომადგენელი, მეორე კი მაზრის საადგილმამულო განყოფილების გამგე. აღნიშნულ შემადგენლობაში ამ საქმეებთან ახლო პირს წარმოადგენს განყოფილების გამგე, რომლის ხელში გადადის მისი აქტიური მონაწილეობით ის საქმეები, რომლებიც სამიწათმოქმედო წარმოებაში იყო. თუ გამგის მონაწილეობა სასამართლო საქმის გადაწყვეტაში ერთი მხრით სადავო საკითხის გაშუქებას და განხილვას აძლევს კარგ მასალას, მას შეუძლია მეორე მხრით საქმის გადაწყვეტაში გაატაროს საადგილმამულო ორგანოს შეხედულება, რაც წინეთ, საქმის ადმინისტრატიული წესით განხილვის დროს იყო გამოუმუშავებული. ეს გარემოება ხელს ვერ შეუწყობს მიუდგომელ მართლმსაჯულების განმტკიცების საქმეს.

გარდა ამისა ის პირობა, რომ სასამართლოს შემადგენლობაში კანონის მიხედვით უნდა იყოს უსათუოდ საადგილმამულო განყოფილების გამგე, ხშირად კრიზისის ქმნის, როცა მისი მონაწილეობა შეუძლებელია მის ავადყოფობის გამო ან მისი აცდლების მიზეზით. პირველ შემთხვევაში საქმე უნდა გადაიდოს, მეორე შემთხვევაში კი შემადგენლობის მისი მაგიერი პირით უნდა იქნეს შევსებული, მაგრამ შევსება რომ მოხდეს, უნდა იქნეს ამის შესაძლებლობა. კანონის მიხედვით გამოსავალი არ არის მაშინ, თუ საადგილმამულო განყოფილებას არ ჰყავს გამგის მოადგილე. სხვა პირით შევსება შემადგენლობისა ვერ გამართლებს გამგის მონაწილეობას საქმის განხილვა-გადაწყვეტაში. გარდა ამისა მის მონაწილეობას რომ მიუდგეთ საქმის ტენიკურად სათანადო სამალღეზე დაყენების საჭიროების თვალსაზრისით, — მხოლოდ ამით შეიძლება გამართლებულ იქნეს მისი მონაწილეობა, — უნდა ითქვას, რომ მართლმსაჯულების თვალსაზრისით უფრო მიზანშეწონილი იქნება, რომ ასეთი პირი გამოიდგინდეს სასამართლოს საქმეში ექსპერტის როლში და არა მსაჯულის. ამას ისიც უნდა მივმატოს, რომ იმ პირობაში, როდესაც სასამართლო საქმეში გამოიწვევა მიწათმოქმეობი საქმის სათანადო განხილვა არ მოითხოვს სასამართლოს საქმეში გამგის მონაწილეობას გადაწყვეტი ხმის მნიშვნელობით. რაც შეეხება მაზრალმასკომის წარმოადგენელის მონაწილეობას საქმეში, უნდა აღინიშნოს, რომ მისი სასამართლოს შემადგენლობაში მონაწილეობა შეიძლება გამართლებულ იქნეს და მას მიეცეს უპირატესობა სხვა მსაჯულის წინაშე იმ შემთხვევაში, თუ ის იმდენად გაგებულ პირია, რომ შესძლებს ვადისინჯოს გადასაწყვეტი საქმე საბჭოთა საადგილმამულო პოლიტიკის თვალსაზრისით.

ამრიგად საადგილმამულო სასამართლო კოლეგიების დღევანდელი კონსტრუქცია და მათი მოღვაწეობა გარეშე ერთიანი და მტკიცე ხელმძღვანელობისა სამართლის პოლიტიკის გატარების ხაზით იძლევა საშუალებას დაისვას საკითხი საადგილმამულო დავის საერთო სასამართლოს გამგებლობაში გადაცემის შესახებ ან ამ სასამართლოების რეორგანიზაციისა და მათი საქმიანობის უზენაეს სასამართლოსადმი დაქვემდებარების შესახებ. ასეთი ღონისძიება მისცემს ხელისუფლებას ბევრად მეტ გარანტიას, რომ მისი პოლიტიკის ხაზი იქნება გატარებული ისე, როგორც ამას მოითხოვენ სახელმწიფოს ინტერესები.

კ. ლოდოველი.

რ. ს. ფ. ს. რ. ს. ს. საპროცესო კოდექსის ახალი პროექტის გამო*.

ხშირად ვერ აფასებენ სათანადოდ, თუ რა მნიშვნელობა აქვს საპროცესო ნორმებს და მათ მეორე ხარისხიან როლს აკუთვნებენ. ეს შეხედულება არსებითად შემცდარია. სანამ მატერიალურ სისხლის სამართლის ნორმებს ხელი არ აუღიათ ზოგადი გაფრთხილების პრინციპზე, მანამ უდიდესი მნიშვნელობა აქვს კანონის აუცილებელ და სწრაფად ამოძრავებს, რომელიც სავსებით დამოკიდებულია საპროცესო ნორმებისაგან. ამას გარდა, სამართლიანათ შენიშნავს იტალიელი მეცნიერი ე. ვერნი „სისხლის სამართლის კოდექსი, ეს არის კოდექსი დამნაშავეთა, ხოლო საპროცესო კოდექსი ეს არის გარანტიათა კრებული პატიოსან მოქალაქეთათვის, რომელნიც მართალია სასამართლოს წინაშე არიან, მაგრამ როგორც ბრალდებულნი და არა როგორც დამნაშავენი“. სისხლის სამართლის კოდექსის ზომები ვერ მიაღწევენ თავიანთ დანიშნულებას, თუ სწორედ არ იქნენ გამოყენებულნი. სწორედ გამოყენება კი დამოკიდებულია საპროცესო ნორმებისაგან—ამიტომ განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოვეციოდით საპროცესო კოდექსს.

ახალი პროექტის ავტორები მიზნათ ისახავენ პროცესის გამარტივებას. პროცესის სიპარტავე ძალიან სასარგებლოა. მაგრამ არ უნდა დაგვაფიწყდეს, რომ გამარტივება დასაშვებია იმდენად, რამდენადაც ამის ატანა შეუძლია პროცესის საბოლოო მიზანს—მატერიალურ ჭეშმარიტებას. იუსტიციის დარგში რომ უშეშავთა მე 5 ყრილობის რეზოლუციაში ვკითხულობთ: „პროცესუალური პოლიტიკის ძირითადი ამოცანაა—შექმნას პროცესი ეკონომიური, მოქნილი და ყველაზე უფრო უზრუნველყოფილი მატერიალურ ჭეშმარიტებისა“. აქედან: საპროცესო კოდექსი ნორმათა ისეთი კრებული უნდა იყოს, რომელიც ყველაზე უფრო უზრუნველყოფს მატერიალური ჭეშმარიტების დადგენას. მატერიალური ჭეშმარიტება გამოსავალი წერტილია, ყველა დანარჩენი პრინციპი—საშუალებება ამისათვის.

სისხლის სამართლის პროცესის მეცნიერებაში, ჩვენ ვხვდებით სხვადასხვა პრინციპებს, რომლებიც პროცესის სხვენებულ მიზანს ემსახურებიან. პირველი ადგილი უჭირავს მათ შორის შეჯიბრებით პრინციპს, რომლის დიდი მნიშვნელობის გამო თვით პროცესი, თუ ეს პრინციპი სამართალ გატარებულია, შეჯიბრებით პროცესათ იწოდება.

ისტორიულათ ჩვენ ვიცით 3 სხვადასხვა ფორმის პროცესი: 1) შეჯიბრებითი, 2) ძიებითი და 3) შერეული 1) პირველის დამახასიათებელი თვისება ფუნქციათა დაყოფაა (ბრალდება, დაცვა, შეფასება); პროცესში ჯიბრები ხდება მხარეთა შორის, მოსამართლე პასიური მასურებელია და მისი მოვალეობაა შედგის შეფასება. ყველაზე

* დისკუსიის წესით.

უფრო დაუახლოვდა პროცესის ამ ფორმას ძველი რომი, რომელმაც პროცესის შეჯიბრება სადისპოზიციო პროცესად დაიყვანა. 2) ძიებითი პროცესის დროს ყველა ფუნქციები მოსამართლის ხელშია. მოსამართლე ბრალს სდებს, იცავს და ბოლოს განსჯის; ბრალდებული—ობიექტია ძიების. ეს ფორმა საშუალო საუკუნოებში იყო გაბატონებული. 3) შერეული პროცესი საშუალო გზაა ამ ორ უკიდურესობათა შორის. აქ უმთავრესად შეჯიბრება იწყება სამჯავრო სხდომიდან. პროცესის ამ სტადიამდე შეჯიბრების მომენტი ძალიან უნიშვნელოთ არის მოცემული. სამჯავრო სხდომიდან, რომლითაც იწყება შეჯიბრება, სასამართლო არ არის პასიური მასურებელი მხარეების, არამედ მას აქვს აქტიური როლიც. მართალია, წაინდა სახით არც ერთი ფორმა პროცესისა ისტორიამ არ იცის, ამ ვაგებით ყოველთვის ერთი—შერეული ფორმა იყო, მაგრამ ძველ რომში და საშუალო საუკუნოებში ისე დაუახლოვდა პროცესი თავის წმინდა სახეს, რომ მათ შერეულობაზე ლაპარაკი ძნელდება. რაც შეეხება ახალ დროის პროცესებს, ისინი შერეული ფორმისა არიან ყველა სახელმწიფოებში, გარდა ინგლის-შვედეთულ შტატებისა. საბჭოთა რესპუბლიკების პროცესი მომქმედი კოდექსის მიხედვით შერეული ფორმისაა.

უდავოა ის დებულება, რომ ახალი დროის შერეული პროცესი პირაში შეიღია ბურჟუაზიის, რომელიც ხელისუფლებისაკენ სწრაფვის დროს, უნდობლად უყურებდა ყველაფერს იმას, რაც ძველ სახელმწიფოსთან იყო შეკავშირებული და მოითხოვდა გარანტიას პიროვნებისათვის, რომ უკანასკნელი სახელმწიფოს თვითნებობის მსხვერპლი არ გამხდარიყო. გაბატონების შემდეგ ბურჟუაზიამ დასტოვა შეჯიბრებითი პრინციპი სათანადოდ შეცვლილი და შეგუებული არსებულ წყობლებასთან, როგორც მაჩვენებელი იხის „სამართლიანობის მოყვარეობისა“. სხვაგვარად უყურებს ამ საკითხს საბჭოთა სახელმწიფო; მისთვის შეჯიბრებით პრინციპს თავის თავად ღირებულება არა აქვს; ის იმდენად მისაღებია, რამდენადაც მიზანშეწონილია მატერიალური ჭეშმარიტების დასადგენად. მაშასადამე, ბუნებრივად ისევეა საკითხი—შეჯიბრების მიზანშეწონილების შესახებ. პროცესში სამჯავრო ხასიათის საშუალო ვხვდებით: ბრალდება, დაცვა და განსჯა. თვითოეული ამათგანი თხოულობს საქმის ენერგიულ შესწავლას. ყოველ საქმეში შესაძლებლობაა ორი პასუხის—ან დადებითის (ჩადენილია დანაშაული), ან უარყოფითის (არ არის ჩადენილი). როცა ადამიანი სწავლობს საქმეს, შესწავლის პროცესში მას ბუნებრივად უმუშავდება შეხედულება—დადებითი ან უარყოფითი პასუხისა, ამის შემდეგ მისი ცდა სრულიად დაუმახინჯებლად მოიყვანოს ის საბუთები, რომლებიც მის შეხედულებას ეწირა აღმდგება—შეუძლებელ რამეს წარმოადგენს. ის, მისი ნების გარეშე დაამახინჯებს ფაქტებს და მის მსჯელობას ყოველთვის ექნება ცნენცია—საკუთარ შეხედულებას დაუახლოვოს ფაქტები; ამ შემთხვევაში სუბიექტის გარეშე არსებული ფაქტი და ჭეშმარიტება არაა არის, რადგან თვით სუბიექტია უმაღლესი ფაქტი და ჭეშმარიტება. ერთი ადამიანი არ შეიძლება იყოს ენერგიული ბრალდებელი, ენერგიული დამცემი და ობიექტიური ჭეშმარიტების დამდგენი. ასეთია ადამიანის ბუნება; მას ჩვენ ვერ შევცვლით. აქედან ერთად ერთი განმოსავალი—ფუნქციათა დაყოფაა, რომელიც შრომის განაწილების პრინციპს ემყარება. შრომის განაწილება უდიდესი კულტურული მიღწევაა. ყველა მეცნიერება მას ემყარება. არ შეიძლება პროცესი მეცნიერების ამ საერთო გზას გამოვაკლოთ. გარანტია მატერიალურ ჭეშმარიტებისა ფუნქციათა დაყოფაშია, რომელიც შეჯიბრებით პროცესშია შესაძლებელი. სანამ სასამართლო მეცნიერულ კომისიით არ გადაქცეულა, მანამ ეს გარანტია აუცილებელია. მომქმედი საპროცესო კოდექსი ამ თვალსაზრისზე

სდგას და მას შეჯიბრებითი პრინციპი სასამართლოს აქტიურობასთან შეთანხმებული, სათანადოთ აქვს გატარებული. ახალი პროექტი, რასაკვირველია, არ უარყოფს შეჯიბრებით პრინციპს საესებით, მაგრამ მას აძლევს მძიმე პრილობებს და ძიებითი პროცესისაკენ იმზირება. პროექტის მე-15 მუხლის მე-2 რედაქციაში ვკითხულობთ:

1. სახალხო სასამართლოში როგორც წესი ბრალმდებლობას ვასწევს პროკურატურა მხოლოდ მაშინ. როცა თვითონ სცნობს მონაწილეობას სავალდებულოდ ასეთ შემთხვევებში მოსამართლე ვალდებულია დაუშვას ან დაანიშნოს დამცველი. ყველა დანარჩენ შემთხვევებში დამცველის დაშვება ფაკულტატიურია და სავალდებულოა მხოლოდ: ა) თუ ბრალდებული დაავადებულია ფიზიკურად და ფსიქიკურად ისე, რომ არ შეუძლია განახარციელოს თავი ი უფლება სასამართლოში და ბ) თუ დამცველის დაშვებას შუამდგომლობს პროფესიონალური მუშათა ორგანიზაციები ან სხვა საზოგადოებრივი, პარტიული ან მუშურ-გლეხური ორგანიზაციები. ასეთ შემთხვევებში დაშვება ხდება სასამართლოს მიმართებით პროფესიონალური კავშირთან არსებულ სათანადო დამცველთა ორგანიზაციისადმი.

2. საგუბერნიო სასამართლოში, როგორც წესი, პროკურატურის მონაწილეობა სავალდებულოა, პირიქით, დამცველის მონაწილეობა ყოველთვის ფაკულტატიურია და დამოკიდებულია მოსამართლის შეხედულებისაგან. (ქვეით: 4) დამცველათ შეიძლება დაშვებულ იქმნენ: დამცველთა კოლეგიის წევრები, ახლო ნათესავი ბრალდებულისა და მისი კანონიერი წარმომადგენელი, სახელმწიფო დაწესებულებათა, წამოწმებულთა პროფესიონალური კავშირთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა რწმუნებულნი. მიუხედავად ამისა, საგუბერნიო სასამართლოში საქმის განხილვის დროს, საქმის ხასიათისა და მდგომარეობის მიხედვით, სასამართლოს უფლება აქვს უარი უთხრას დამცველის დაშვებაზე თვითეულ ფორმალურად უფლებამოსილ პირს.

მაშასადამე, დამცველის დაშვება ფაკულტატიურია, ე. ი. კანონით განსაზღვრულ შემთხვევებს გარდა, სასამართლოს უფლება აქვს არ დაუშვას დამცველი და მისი ფუნქცია თვითონ შეასრულოს. ეს კიდევ ცოტაა. საგუბერნიო სასამართლოში, სადაც პროკურატურის მონაწილეობა სავალდებულოა, დამცველის დაშვება ფაკულტატიურია: სასამართლოში შეიძლება წარმოდგენილი იყოს მარტო ერთი მხარე-პროკურორი, მხარეთა თანასწორობა გაუქმებულია. საინტერესოა აქვე აღვნიშნოთ, რომ ასე შორს რეკოლიოციონური დროის ტრიბუნალებიც არ წასულა. 1918 წლის ივლისის დებულებაში ვკითხულობთ: „იმ შემთხვევაში, როცა რომელიმე საქმეზე დაშვებულია ბრალმდებელი ტრიბუნალის მიერ, უკანასკნელი ვალდებულია დაუშვას ან დაანიშნოს დამცველიც“. ყველა ეს იმას ნიშნავს, რომ ფაქტიურად უდამცველოთ რჩებიან თურქიული საკითხების უფრო უცოდინარი მოსახლეობის დიდი უმრავლესობა-გლეხობა, რომელიც პროტკავშირებში არ არის გაერთიანებული. რასაკვირველია, მოსახლეობის დანარჩენი ნაწილიც. თუნდა კავშირის წევრები, არ იქნება ამ მხრით უზრუნველყოფილი, რადგან პროტკავშირის ხაზით დაცვის ორგანიზაციის მოწყობას მთელ რიგ სიძნელებთან ექნება საქმე. ამის გარდა, დაცვის ასეთი შეზღუდვა ნიშნავს იმას, რომ სასამართლო კარებს იკეტავს, ის ნაკლებ დემოკრატიული ხდება.

სდგება რა შეჯიბრებითი პრინციპის შევიწროების გზაზე. პროექტი თანდათან აყენებს ძიებითი პროცესის ელემენტებს: 1) მრავალ შემთხვევებში დამცველის დაშვება პროკურორს ენდება (32 მუხ. 3. პ.); 2) პროკურორი არის საგუბერნიო სასამართლოში არა მხარე. არამედ მომხსენებელი, რომელმაც უნდა მოახსენოს სასამართლოს, როგორც ბრალსადები, ისე დსაცავი მომენტები (57 მ. ა. პ.);

3) სახალხო სასამართლოს უფლება აქვს ყოველ მომენტში შეწყვიტოს მოწმეთა დაკითხვა, თუ სცნობს, რომ დაკითხულ მოწმეთა ჩვენებამ საესებით გამოარკვია ის მდგომარეობა, რისთვისაც მოწმე უნდა გამოძახებულიყო (მუხ. 46); 4) სასამართლოს შეუძლია გამოაჩეყნოს ჩვენებანი, წინასწარ კვლევის დროს მოცემული, მიუხედავად იმისა, გამოჩადდნენ თუ არა ეს მოწმეები (46 მ. 2 პ.); 5) საგუბერნიო სასამართლოში განაჩენს შეიძლება საფუძვლად დაედგას საქმეში არსებული, მაგრამ სამსჯავრო სხდომაზე განიხილავი საბუთები (56 მ. პ. ა.); 6) საგუბერნიო სასამართლოს სამსჯავრო სხდომაზე განიხილება მხოლოდ სადაო საკითხები, რომლის სია სასამართლოს შედგენილი აქვს (56 მ. ზ. პ.); 7) საგუბერნიო სასამართლოში „გამოწვეულ უნდა იქმნენ ის მოწმეები, რომელთა ჩვენების სისწორე საესება. მოწმეთა სია შეიძლება შემცირებულ იქმნეს ყოველ მომენტში სასამართლოს შეხედულებისამებრ“ (56 მ. პ.)

მოყვანილ ამონაწერებში ნათლად სჩანს ძიებითი პროცესის დამახასიათებელ-წერილობითი და შუალობითი პრინციპები, პროექტის მიერ წამოყენებული შეჯიბრებითი პროცესის კი, როგორც ვიცით, ზხასათების სიტყვიერება და უშუალობა, საინტერესოა ამ პრინციპების განხილვა მოწმის საკითხთან დაკავშირებით.

მოწმეს უდიდესი მნიშვნელობა აქვს პროცესში. გამოჩენილ მეცნიერთა გამოკვლევამ ცხადყო, რომ მოწმის მიერ ჭეშმარიტი ცნობის მოკვმა ძალიან ძნელი მოვლენაა. ადამიანის პიროვნების შესწავლიდან გამოიარკვა, რომ ამის მიზეზი ადამიანის მიერ შთაბეჭდილების ათვისების ინდივიდუალობაში მდგომარეობს. ერთი და იგივე საგანი ათასგვარი ვარაიაციებით იფინება სხვა და სხვა ადამიანთა გონებაში და ეს იმიტომ, რომ ადამიანი არასოდეს არ ხვდება ცარიელი გარე სამყაროს შთაბეჭდილებას; უკანასკნელი იხლართება ადამიანის სხეულისაგან განცლებში. ეგუება პირობებს, ლებულობს ახალ იერს და გარე სამყაროს ფაქტი სუბიექტურ ფაქტად იქმნება. თავისებურია აგრეთვე ფაქტების დამახსოვრება, შიშვე მისი გადმოცემა. ამიტომ მოწმეს უნებლიეთ უმახინჯდება ფაქტები. იშვიათი ნიჭის ადამიანი ალაღვენს ზუსტ ფაქტს. ამას გარდა წინასწარი კვლევის დროს დაწერილი ჩვენება ვერ იძლევა სისწორის სრულ გარანტიას კვლევის მწარმოებელს ყოველთვის შეაქვს ოქმში სუბიექტური კვალი; უნებლიეთ ისე უსგამს მოწმეს კითხვას, რომ ზოგჯერ კითხვაში ნაკარნახევი პასუხი და სხვა... კვლევის მწარმოებლის წინასწარ გეგმაში, განსაზღვრულ წესებში ჩამოსხმა არ უყვარს ბუნებრივ-ცოცხალ ჭეშმარიტებას. ეს მდგომარეობა იყო ერთი ძლიერი ფაქტორთაგანი, რომელმაც აძულა მე-XIX ს. მეორე ნახევარში სასამართლოს მომუშავეები და თეორეტიკოსები ხელი აეღოთ წერილობით და შუალობით საქმის გარჩევაზე და გადასულიყვნენ უშუალობა-სიტყვიერებაზე. განუზომელია უშუალობა-სიტყვიერების მნიშვნელობა პროცესისათვის: მოსამართლე პირდაპირ უცქერის მოწმეს აკვირდება მის ქცევას, ესმის მოწმის დამჯავრებელი ტონი, უსგამს კითხვას ყოველი დაქვეების დროს... მხარეები მზად არიან ჯვარედინა დაკითხვით საკითხის ყოველი მხარე ნათლად გამოარკვიონ. მოწმე მრავალი კონტროლის ქვეშ იმყოფება. მას დაზეპირებული ჩვენება აღარ გამოადგება. ყველა ამის მაგიერობას დაწერილი ქალაღდი ვერ შეასრულებს; ცოცხალი მკვდარში არ გაითვლება ასეთივე განსხვავება შუალობით წერილობითსა და უშუალობა-სიტყვიერ პროცეს შორის. პროექტის გზას პირველისაკენ მიყვივართ.

შეჯიბრებით პროცესის (აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ არ ვფულისხმობთ სრულ სახეს ამ პროცესისას, არამედ სამსჯავრო სხდომიდან შეჯიბრების გატარებას, როგორც ეს მოქმედ კოდექსშია). დამახასიათებელია აგრეთვე მხარეთა კამათი. კამათი მნიშვნელოვანია იმით, რომ

აქ მხარე ანალიზს უკეთებს განვლილ პროცესს და მათ მთლიანად ასახავს. პროექტით სახალხო სასამართლოს შეუძლია არ დაუშვას კამათი (49 მ. 2 პ.), ხოლო საგუბერნიო სასამართლოში კამათი სრულებით არ დაიშვება (57 მ. გ. პ.) სახალხო სასამართლო განაჩენის მოტივის მოყვანისაგან თავისუფალია (54 მ.), რაც თვითნებობას უხსნის გზას და ეს მაშინ, როცა სახალხო სასამართლოს გადაეცა საგუბერნიო სასამართლოსადმი ქვემდებარე მძიმე საქმეები (11 მ.), გარდა განსაკუთრებულად მძიმე დანაშაულებათა. უპირისპირა გაძლიერებულია პროკურატურის როლი: 1) პროკურატურას ემორჩილება წინასწარი კვლევის ყველა ორგანოები (19 მ.) 2) პროკურატურას შეუძლია საქმის შეწყვეტა (30 მ. 1. 2. პ.) 3) გამწვანებელი სხდომის დღევანდელი ფუნქცია (მომქმედი კოდექსი) სამართალში მიცემა-გადაცემული აქვს პროკურატურას (40 მ.), 4) პროკურატურას შეუძლია გადასწყვიტოს დამცველის დავების საკითხი საგუბერნიო სასამართლოში (32 მ. 3 პ.); 5) პროკურორი არის მომხსენებელი საგუბერნიო სასამართლოში და არა მხარე (57 მ.); 6) საგუბერნიო სასამართლო საქმეს განიხილავს პროკურორის მოხსენების მიხედვით (57 მ. ბ. პ.); 7) პროექტის უმრავლესი მუხლები დაწერილია ნაკაზის სახით, რომლის შეცვლა ყოველ წუთში შეუძლია პროკურორს. ერთი სატყვეთ, მხოლოდ განაჩენის დაწერა არ შეუძლია პროკურორს, თორემ პროცესის საწყისიდან მის ბოლომდე პროკურორი არის პროცესის მთავარი ფიგურა.

რა მოტივებით ასაბუთებენ პროექტის ავტორები და მისი მომხრეები პროექტის დებულებებს?

პროცესის შეცვლასთან დაკავშირებით უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში რუსეთის და უკრაინის იურიდიულ უწყაროებში მრავალი აზრები იყო გამოთქმული ამ საკითხზე: ჩვენთვის აქ უფრო საინტერესოა პროექტის მომხრეების აზრი. ამხ. კურსკი ამბობდა: ჩვენი საპროცესო კოდექსი რთულია, 465 მუხლი ძალიან ბევრია; ჩვენ კურსი გვაქვს აღებული სასამართლოს გამუშურებაზე და ამიტომ კოდექსი ამას უნდა შეუფარდოთ (საბ. იუს. ყოვ. № 9, 26 წ.) პირველად ყოვლისა უნდა აღენიშნოთ, რომ მუხლების სიმრავლე ან სიმცირე არ სწყვეტს სიმარტივის საკითხს და მეორე, რაც უმთავრესია, პროცესის სიმარტივე — გამუშურებასთან შეფარდებული, ისე კი არ უნდა გავიგოთ, რომ მას შეეწიროს პროცესის მიზანი. მისი პრინციპიალური მხარე, არამედ უნდა შევეცადოთ მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებას, თუ ჩვენ ვღებულობთ იმ დებულებას, რომ ყოველ ჩვენ მუშაობას საფუძველად უნდა დაედოს მეცნიერება. ამხ. სოლცის სიტყვაში ვკითხულობთ: მიზანშეწონილების საკითხი, რევოლუციური შეგნება უნდა ბატონობდეს სამართლის ფორმაზე; აქედან: შეჯიბრებით პრინციპი ბურჟუაზიულია; ფართე გასაქანი უნდა მივიცეს მოსამართლის რევოლუციური შეგნებას, ნაკლები მნიშვნელობა — კანონებს (საბჭ. იუს. ყოვ. № 2, 25 წ.). ლენინი კი სწერდა: „აბსოლუტურად უნდა სრულდებოდეს მთელი ფედერაციისათვის დადგენილი ერთიანი კანონები“ (საბ. იუს. ყოვ. № 2, 26 წ.). უდავოა **ლენინის** დებულების სისწორე. რევოლუციონური შეგნება ინდივიდუალური ცნებაა, იმ გაგებით, რომ თვითეულ ადამიანს თავისებურათ შეიძლება ესმოდეს ის რევოლუციის პირველ დღეებში აუცილებელი იყო რევოლუციონური შეგნების გაბატონება, მაგრამ შემდეგში ქვეყნის ეკონომიურმა განვითარებამ წამოაყენა საკითხი კანონის სტაბილიზაციისა. რევოლუციონური შეგნება ჩამოიქნა რევოლუციონურ კანონიერებაში. ეს იყო თვით ცხოვრებით ნაკარნახევი გზა და ამის შემდეგ რევოლუციონურ შეგნების პრიმატობაზე ლაპარაკი შეცდომაა. რაც შეეხება შეჯიბრებითი პროცესის ბურჟუაზიულობას, მართალია ის ისტორიულად ბურჟუაზიის მიერ არის შექმნილი, მაგრამ სამართლიანათ შენიშნავს ამხ. გერმოვიჩი (საბჭ. იუს.

ყოვ. № 50 27 წ.), რომ ბურჟუაზიის გამოგონილია ფაბრიკა-ქარხნებიც, რომელთა გამოყენებაზე, ჩვენს უფრო არ ვამბობთ, ამას გარდა ის გზა, რომელზედაც ამხ. სოლცი ვვითითებს (მხარეების სრული მოსპობა) ისტორიულათ — ბურჟუაზიულ წყობილებაზე უფრო შორს საშუალო საუკუნოების ძიებითი პროცესისაკენ იქტირება.

ამხ. კრილენკო სწერს: „საგუბერნიო სასამართლო უნდა იყოს ნამდვილი განსაკუთრებული სასამართლო ბრალდებულისათვის გარანტიათა მინიმუმით, რადგან იქ ირჩევა მძიმე დანაშაულებანი“ (საბჭ. იუს. ყოვ. № 47, 27 წ.) მაშასადამე ვისაც მძიმე დანაშაულოში სდებენ ბრალს, ის ალბათ მძიმე დამნაშავეა, ამიტომ ნაკლები გარანტია მათ. ამ აზრის შეცდომა ბრალდებულის დანაშაულების პრეზუმციაშია, რამდენი შემთხვევა ყოფილა, რომ მძიმე ბრალდებაში, ბრალდებული მართალი აღმოჩენილა! მაშ, რატომ უნდა ჰქონდეს მას ნაკლები გარანტია? უნდა გვახსოვდეს, რომ ბრალდებული დამნაშავე არ არის და პროცესის აზრიც იმაშია, რომ ეს საკითხი გამოარკვიოს. ამას გარდა ამხ. კრილენკოს ეს აზრი არ ეთანხმება მის მიერ წინათ გამოთქმულ აზრებს. თავისი წიგნში (რ. ს. ფ. ს. რ. სასამართლო წყობილება, გვ. 16) ის, ეხება რა საკითხს პირდაპირი გასწორების (расправа) და სასამართლოს დამოკიდებულების, ამბობს, რომ სხვა და სხვა გარანტიები ჩვენ გვესაჭიროება პროცესში შეცდომის ასაცილებლად, რომ მართალი არ დაისაჯოს. ამიტომ „პირადათ მე ერთ უდიდეს მონაპოვარს ჩვენი რევოლუციისა ვხედავ იმაში, რომ ჩვენ გვაქვს პროცესუალური კოდექსი“, და ამას ვერ ხედავს ის მატერიალურ კოდექსის არსებობაში: ამდენად დიდ მნიშვნელობას აძლევდა მაშინ ამხ. კრილენკო საპროცესო ნორმებს.

დასასრულ ვიკითხოთ: ეთანხმება თუ არა პროექტის ეს გზა, ჩვენი სახელმწიფოს სისხლის სამართლის საერთო პოლიტიკას? სისხლის სამართლის კანონს ორი მიზანი აქვს: 1) ზოგადი გაფრთხილება ე. ი. პირდაპირ გასწორება (расправа) დამნაშავესთან და სხვების გაფრთხილება 2) სპეციალური გაფრთხილება ანუ დამნაშავეს გარდაქმნა ისე, რომ ის შეეგუოს საზოგადოებას. იმის და მიხედვით თუ რა მდგომარეობაშია სახელმწიფო, ის წინ აყენებს პირველ ან მეორე მიზანს. როცა სახელმწიფოს იმი აქვს საგარეო ან საშინაო, როცა ხელისუფლების საკითხი არ არის უზრუნველყოფილი. მაშინ ის წინ აყენებს ზოგადი გაფრთხილების მომენტს; მას არა აქვს დრო და საშუალება იკვლიოს თვითეული დამნაშავეს პიროვნება, მას აინტერესებს დამნაშავეთა პირდაპირი გასწორებით და სხვების დაშინებით ხელისუფლების შენარჩუნება. ასე იყო, როცა ბურჟუაზია იბრძოდა ხელისუფლებისათვის ასე იყო ჩვენშიც, როცა პროლეტარიატმა აიღო ძალა უფლება. ვაგიდა დრო... პროლეტარიატმა შეინარჩუნა ხელისუფლება. დაამარცხა მტრები. ამის შემდეგ სახელმწიფო წამოაყენა მეორე მომენტი დამნაშავეს პიროვნების შესწავლა, მისი შეგუება საზოგადოებისადმი და სისხლის სამართლის პოლიტიკის განვითარება იქით მიდის, რომ თანდათანობით კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედობა გახდეს მხოლოდ საბაზი დამნაშავეს შესწავლისა, რომელიც (დამნაშავეს პიროვნება) უნდა დაედვას საფუძვლად სოციალური ზომის მიყენებას. ამას საუკეთესოდ ამტკიცებს: 1) 1926 წლის რ. ს. ფ. ს. რ. სისხ. სამ. კოდექსის მუხლები: 7, 17, 18, 19, 45, 47, 51, 52, 2) სანქციის დადებლობა წინა კოდექსთან შედარებით, 3) სანქციის მაქსიმუმსა და მინიმუმს შორის დიდი მანძილი.

როგორ უპასუხებს ამას საპროცესო კოდექსის ახალი პროექტი? 1) მხარეთა თანასწორობის დარღვევა; 2) პროკურატურის როლის გაძლიერება მაქსიმუმამდე; 3) დამცველის არ დაშვება; 4) მოწმეების არ გამოძახება ან არ დაკითხვა; 5) კვლევის დროს მოცემული ჩვენების წაკითხვა მოწმის დაუბარებლად; 6) კამათის შეწყვეტა ან

სულ მოსპობა; 7) განაჩენის მოტივის უარყოფა; 8) კოდექსის უმრავლეს მუხლების დატოვება საკანონმდებლო ორგანოს კომპენენტის გარეშე. ყველა ეს და აქედან გამომდინარე ვარაუდითა შეზღუდვა ბრალდებულისათვის მაჩვენებელია იმის, რომ პროექტი წინ აყენებს ზოგადი გაფრთხილების მოქმედებას, რითაც ის სცილდება სისხლის სამართლის პოლიტიკას და მათთან დაკავშირებული საერთო პოლიტიკაში აღვივებს ვერ პოპულარობს: ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ პროექტის გზა შემცდარი და სახიფათო.

ივ. სურგულაძე.

ქონებრივი დანაშაული 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსში.

1

იმ მრავალ ცვლილებათა და დამატებათა შორის, რაც შეტანილ იქნა 1928 წ. სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში, აღსანიშნავია ახალი დებულებანი, რაც შეეხება ქონებრივ დანაშაულთა საერთო სისტემას და მათი შედგენილობის ჩამოყალიბებას.

1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსში ქონებრივი დანაშაული გათვალისწინებულია მე 7 თავში, 177-197 მუხლებში.

თუ ახალ კოდექსის მე-7-ე თავს ჩვენ შევიადარებთ 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მე-6-ე თავს, რომელშიაც მოქცეულ იყო ქონებრივ დანაშაულის ყველა მუხლები, დავინახავთ, რომ ამ მუხლების რიცხვი ახალ კოდექსში უფრო მცირეა (21), ვიდრე 1922 წლის კოდექსში, რომლის მე-6 თავი შეიცავდა 23 მუხლს (187—205) და გარდა ამისა რამდენიმე დამატებით მუხლს (187¹, 196¹, 196², 196³ მ.მ.) რამდენათაც მუხლების შემცირება ახალ კოდექსში მიღწეულია ერთი სხვაობით იმით, რომ ძველი კოდექსის სხვადასხვა მუხლებში გათვალისწინებული ერთი და იგივე სახის დანაშაულობრივი ქმედობა მოქცეულ იქნა ახალ კოდექსის ერთ მუხლში, რომელიც შესდგება რამდენიმე ნაწილისაგან, და მეორე მხრით კი ქონებრივ დანაშაულის ჯგუფიდან გამოირიცხულ იქნა ზოგიერთი მუხლები და გადატანილი სახლის სამართლის კოდექსის სხვა თავში, არ შეიძლება ითქვას, რომ ხსენებულ ვარემოებამ იქონია სერიოზული გავლენა ახალ კოდექსის სადაღებზე.

ასე, მაგალითად, 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსის (ყველა დამატებებით) 189 და 190 მუხლები, რაც ითვალისწინებდა სააშკაროდ სხვისი ქონების გატაცებას ძალადობის უხმარებლად და ძალადობასთან შეერთებული გაძარცვის უბრალო სახეს, მოქცეულია ახალ კოდექსის 180 მუხლში, რომლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს სწორედ ძალადობასთან შეერთებულ გაძარცვის იმ უბრალო სახეს, რაც ძველ კოდექსში ცალკე მუხლის საგანს შეადგენდა; 193 და 194 მუხლები თაღლითობის შესახებ მოქცეულ იქნა ერთ მუხლში (183); 1922 ი. სისხლის სამართლის კოდექსის 196 და 197 მუხლები, ე.წ. მოხმარების საგნების ფალსიფიკაცია, გაერთიანებულ იქნა 187 მუხლში, გამოძალვის ორივე სახე—საერთო გამოძალვა და შანტაჟი (ძველი კოდექსის 200 და 201 მ. მ.) მოქცეულ იქნა ახალ კოდექსის 193 მუხლში, ქონების განადგურება, რომელსაც ძველ კოდექსში ეკრა ორი მუხლი (202, 203) მოთავსებულ იქნა 194 მუხლში და სხვ.

რაც შეეხება ამა თუ იმ მუხლის სისხლის სამართლის კოდექსის სხვა თავში გადატანას, ან კოდექსიდან მთლიანად გამორიცხვას, ასეთი დაშვებულია მხოლოდ ერთ შემთხვევაში—ძველი კოდექსის 196³ მუხ. (შენახვა სავაჭრო დაწესებულებაში კეთილშობილი ლითონის ნაყ-

თობისა, რომელსაც სასაჩხი ნიშანი არა აქვს, და ასეთი ნაკეთობის გასაღება მოქცეულია მართველობის წესის საწინააღმდეგო დანაშაულთა ჯგუფში (113 მ.), ხოლო 187¹ მუხლი კოდექსიდან იქნა საესებით ამოშლილი: ეს არსებითად სწორია, ვინაიდან პირველი ქმედობა არ წარმოადგენს თავის შინაარსით ქონებრივ დანაშაულს, ხოლო ძველი კოდექსის 187¹ მუხლში გათვალისწინებული სახელმწიფო დაწესებულებიდან და საწყობიდან ქონების მტაცებლობა, რომელშიც იყო გაერთიანებული ქონების მოტაცების სხვადასხვა სახე, როგორც ცალკე დამოუკიდებელი დანაშაული, სრულიად უშინაარსო რუბრიკას წარმოადგენდა და იწვევდა მრავალ გაუგებრობას სასამართლოს პრაქტიკაში. სასურველი იყო, რომ ასეთივე ბედი სწვეოდა 188 მუხლში გათვალისწინებულ უვარგის სათესლე მასალის გასაღებას, რამდენადაც ეს ქმედობა წარმოადგენს თაღლითობის ერთ-ერთ სახეს და როგორც ასეთი მოქცეულ უნდა ყოფილიყო 183 მუხლის სანქციაში.

თუ ერთის მხრივ 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსში საერთოდ შემცირდა ქონების საწინააღმდეგოდ მიმართული დანაშაულთა მუხლები, მეორე მხრივ აღსანიშნავია, რომ ახალმა კოდექსმა გაითვალისწინა ქონებრივ დანაშაულთა ჯგუფში რამდენიმე ქმედობა, რაც 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსში სულ არ იყო აღნიშნული. ასეთია: 1) ელექტრონის ენერჯის მოპარვა (178 მ.); მოტაცების ობიექტად ფიზიკური საგანი უნდა იყოს, არ უნდა ჩათვლილიყოს ასეთ ობიექტად ელექტრონის ენერჯია, რადგანაც ის არ არის ნივთი, მაგრამ მას აქვს მაინც ნივთის განსაკუთრებული თვისება; ელექტრონის ენერჯია თანამედროვე ცხოვრებაში ხდება მფლობელობის საგნად და როგორც ასეთი, იგი დაცულ უნდა იქნეს ყოველგვარ მოტაცებისაგან. აქედან გამომდინარეობს, რომ კანონის მიერ ფიზიკურ ნივთის დაცვის ფარგლები უნდა იქნეს გაფართოვებული და ეს დაცვა შეეხოს აგრეთვე ელექტრონის ენერჯიას; ასე უდგებოდა ამ საქითხს სამართლის თეორია და აგრეთვე რუსეთის სასამართლო პრაქტიკაც, რომელიც ელექტრონის ენერჯის მტაცებლობას და მოპარვას უფარდებდა ქურდობის საერთო მუხლს. ამრიგად, რამდენადაც კანონმდებელმა 178 მუხლის კოდექსში შეტანით გაათავსო ქონების მოტაცების ობიექტის ცნება და დანაშაულებრივი მოტაცების საგნად ელექტრონის ენერჯიაც მიიხსია, მან გაუწია ანგარიში ცხოვრების პრაქტიკულ პირობებს და რეალურ დებულებად გახადა ის, რაც წინა დავის საგანს წარმოადგენდა; 2) ნაყიდობის კანონისამებრ, ცალკეობით, ფასის ნაწილ-ნაწილ გადახდის პირობით შეძენილ ქონების განსხვავება ან დაგირავება დაწესებულ ფასის სრულიად გადახდამდე, გამყიდველის ნებადაურთველად (184 მ.); ეს დებულება შეთანხმებულია სამოქალაქო სამ. კოდ. 205³ მუხლთან, რომლის ძალით ვიდრე ფასის გადახდის განაწილებით შეძენილი ქონების ფასი მთლად არ იქნება გადახდილი, მყიდველს არ შეუძლია ეს ქონება გაყიდოს, დააგროოს, ან სხვა რაიმე გზით გადასცეს მესამე პირს, ასეთ აკრძალვის დარღვევა იწვევდა წინადა პასუხისმგებლობას ს. ს. კ. 192 მუხლის მიხედვით, ახალ კოდექსში კი ცალკე მუხლია ამისათვის შექმნილი, რომელშიაც ასეთ ქმედობისათვის გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ან იძულებით მუშაობა ექვს თვემდე.

რამდენადაც ფასის მთლიანად გადახდამდე ფასის ნაწილ-ნაწილ გადახდით შექმნილი ქონება არ შეადგენს მყიდველის საკუთრებას, ეს ქმედობა შეიცავს მითვისების ნიშნებს, ამის გამო არც იყო საჭირო ხსენებულ ქმედობის ცალკე მუხლში გათვალისწინება. ასე იქცევა რ.ს.ფ.ს.რ. 1926 წლის კოდექსი, რომელიც ქონების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ჯგუფში ასეთ ქმედობას არ ითვალისწინებს; 3) ახალია აგრეთვე სის. სამ. კოდ. 185 მუხლი, რომლითაც გათვალისწინებულია ბოროტი ვაჭრობე-

ბა, ე. ი. თავის არიდება ვალის გადახდისაგან თავის ქონების დაფარვის საშუალებით ისეთი პირის მიერ, ვინც ეწევა ვაჭრობას, ან სარგებლობს კრედიტით ბანკებში ან სხვა გვარ სახელმწიფო დაწესებულებაში და საწარმოში; 1922 წლის კოდექსი შემდეგი დამატებებით არ ითვალისწინებდა ასეთ ქმედობას და იმის გამო, რომ ეს ქმედობა თავის ბუნებით ახლო იდგა თაღლითობასთან, პრაქტიკა უფარდებდა კოტრობას თაღლითობის მუხლებს. მაგრამ, რამდენათაც აქ მოტყუებას ან ნდობის ბოროტად გამოყენებას აღვილი აქვს ქონების დამნაშავეს ხელში გადასვლის შემდეგ, კოტრობა არ შეიცავს თაღლითობის ნიშნებს ამ ცნების პირდაპირი შინაარსით და სწორედ ამიტომ და აგრეთვე იმის გამო, რომ ბოროტი ვაკოტრება თავის შინაარსით საზოგადოებრივად საშიშ მოქმედებას წარმოადგენს, კანონმდებელმა საჭიროდ სცნო ამ ქმედობის გამოყოფა ცალკე მუხლში.

იმ ქმედობათა გარდა, რაც გამოყოფილ იქნა ცალკე მუხლებში, 1928 წ. სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს აგრეთვე ზოგიერთ დანაშაულს, რომელიც თუ-მცა არ არის გამოყოფილი ცალკე მუხლში, მაგრამ არსებითად ახალ ქმედობას წარმოადგენს. ასეთია: 1) ქურდობა, ჩადენილი სადგურზე, ნავთსადგურზე, გემზე, ვაგონში, ბაზარზე, სასტუმროში და საერთოდ საზოგადო სარგებლობის ან ხალხის თავმოყრის ადგილას (177 მ. პ. ბ.); ეს ქმედობა არ იყო ცალკე გათვალისწინებული 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსში და შეადგენდა მხოლოდ უბრალო ქურდობას; 2) ნაპოვნი ან აღმოჩენილი განძის მითვისება (182 მ. მე-2 ნაწ.). 1922 წლის სის. სამ. კოდ. პირდაპირ არ ითვალისწინებდა არც ნაპოვნი და დაიწვებული ქონების მითვისებას და არც ქონების შეცდომით წაღებას, ვინაიდან, როგორც ამას აღნიშნავენ კოდექსის პირველ პროექტის შემდგენელნი, ხსენებული შემთხვევები შედიოდნენ მითვისების საერთო ცნებაში. 1928 წლის სის. სამ. კოდ. პირდაპირ გაითვალისწინა ეს ქმედობა მხოლოდ ნაპოვნი და აღმოჩენილ განძის მიმართ, ეს დებულება კოდექსში შეუთანხმა სამ. კოდ. 68 მუხლს, რომლითაც ჩაფლული განძი აღიარებულია სახელმწიფო საკუთრებად.

ამრიგად სის. სამ. კოდექსმა როგორც წინააღმდეგობა დასტოვა საკითხი, წარმოადგენს თუ არა დანაშაულობრივ ქმედობას ნაპოვნი ან სხვის მიერ დაიწვებული ან შეცდომით წაღებული უბრალო ნივთის მითვისება; 3) მეურვის მიერ მეურვეობაში მიცემული ქონების მითვისება ან გაფლანგვა, რომელიც იწვევს სოციალური დაცვის ღონისძიებას, როგორც თანამდებობრივი დანაშაული (182 მ. 3 ნაწ.) და მე-4 საავტორო უფლების დარღვევა, რაც სხვის გამონაგონის თვითნებისად სარგებლობასთან ერთად გათვალისწინებულია 196 მუხლში.

ასეთია ცვლილებანი, რაც შეტანილ იქნა ახალი სის. სამ. კოდექსით ქონებრივ დანაშაულთა საერთო სისტემაში.

2

იმ ცვლილებათა შორის, რომელიც შეტანილ იქნა ქონებრივ დანაშაულთა საერთო შედგენილობაში. აღნიშნულ უნდა იქნას ერთი ფრიად საყურადღებო მომენტი. საერთოდ ცნობილია სისხლის სამართლის თეორიაში, რომ ნივთი, როგორც მოტაცების ობიექტი, დამნაშავესათვის უნდა შეადგენდეს სხვის ქონებას. წინააღმდეგ ამისა 1923 წლის სისხლის სამართლის კოდექსი მხოლოდ ერთ შემთხვევაში მოითხოვდა, რომ მოტაცებული ქონება დამნაშავესათვის სხვისი ქონება უნდა ყოფილიყო. ეს იყო სააშკარად გაძარცვა ძალადობის უხმარებლად, გათვალისწინებული 189 მუხლში, სხვა შემთხვევებში სისხლის სამართლის კოდექსში ლაპარაკი იყო მხოლოდ ქონებაზე: ქურდობაში—იმ ქონებაზე, რომელიც სხვა პირის ან დაწესებულების მულობელობას ან განკარგულებაში იმყოფება (187 მ.), ყაჩაღურ თავდასხმაში—საერთოდ ქონებაზე (191 მ.).

1928 წლის სის. სამ. კოდექსმა უარყო ქონების მოტაცების ობიექტის ასეთი განსაზღვრა და აღიარა, რომ მოტაცებული ქონება დამნაშავესათვის უნდა წარმოადგენდეს სხვის ქონებას. ასეთი მოთხოვნა პირდაპირ წამოყენებულია ქურდობისათვის, გაძარცვისათვის, ყაჩაღობისა და მითვისებისათვის. ამრიგად კანონით უკვე დადასტურებულია, რომ მოტაცების საგნად ზემოთაღნიშნულ შემთხვევებში არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს დამნაშავეს საკუთარი ქონება. მაგალითად, დამნაშავეს მიერ დაკარგვებული საკუთარი ქონებას მოპარვა არ არის ქურდობა, გათვალისწინებული 177 მუხლში, ასეთი მოქმედება შესაძლებელია შეიცავდეს რაიმე სხვა დანაშაულის ნიშნებს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ეს არ არის ქონების გატაცება 177 მუხლის თვალსაზრისით.

3

საერთო ხასიათის ცვლილებად უნდა იქნეს აგრეთვე მიჩნეული რეპრესიის შეძირება, გატარებული ახალ სისხლის სამართლის კოდექსში. მაგალითად, უბრალო ქურდობა ხსენებულ კოდექსის მიხედვით (177 მ. პ. ა) იწვევს თავისუფლების აღკვეთას ან იძულებითი მუშაობის ნ თვემდე, მაშინ როდესაც თავისუფლების აღკვეთა ან იძულებით მუშაობა ასეთივე ქმედობისათვის 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსით განისაზღვრებოდა ერთ წლამდე, კვალიფიციური ქურდობა სახელმწიფო დაწესებულებიდან და საწყობიდან, ჩადენილი ისეთი პირის მიერ, რომელსაც განსაკუთრებულად შეეძლო აღნიშნულ საწყობებში შესვლა, ან რომელიც ამ საწყობს იცავდა, გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას ხუთ წლამდე. 1922 წლის კოდექსის მიხედვით კი ასეთი მოქმედება იწვევდა თავისუფლების აღკვეთას ათ წლამდე, სასტიკი იზოლიაციით (187 მ. პ. ბ) ქურდობა იმავე დაწესებულებიდან და საწყობებიდან განსაკუთრებულად დიდი ქონებისა, რაც ჩადენილი იყო ბრალის დაძაძიმებელ პირობებში, 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით იწვევდა სოციალური დაცვის უმაღლეს ღონისძიებას (187 მუხ.), ხოლო ასეთივე მოქმედება 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსით გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას ათ წლამდე სასტიკი იზოლიაციით (177 მ. პ. ბ), ქონების სააშკარად გატაცება, ჩადენილი ისეთი ძალადობით, რაც საფრთხეს არ წარმოადგენს დაზარალებულის სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის (180 მ. 2 ნაწ.), გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე, მაშინ როდესაც ასეთივე ქმედობისათვის 1922 წლის სის. სამ. კოდ. აწესებდა თავისუფლების აღკვეთას ხუთ წლამდე (190 მ.), იგივე მოქმედება ჩადენილი რეციდივისტისა ან ჯგუფის მიერ 1922 წლის სის. სამ. კოდექსით იწვევდა თავისუფლების აღკვეთას რვა წლამდე (190 მ. 2 ნაწ.), 1928 წლის სის. სამ. კოდექსით კი ასეთ ქმედობისათვის თავისუფლების აღკვეთის ვადა განსაზღვრულია ექვს წლამდე (180 მ. 3 ნაწ.), მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ რეპრესიის შეძირება სისხლის სამართლის კოდექსში მთლიანად არის გატარებული, მასში მოიპოვება ქონებრივ დანაშაულის ისეთი მუხლებიც, რომლითაც დაწესებული სოციალური დაცვის ღონისძიება უფრო ძლიერია, ვიდრე ეს იყო გათვალისწინებული 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსში. ასეთია, მაგალითად, თაღლითობის კვალიფიციური სახე, რომელიც წინააღმდეგ იწვევდა თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე, ახალ კოდექსით კი ასეთი მოქმედებისათვის დაწესებული თავისუფლების აღკვეთის ვადა განსაზღვრულია 5 წლამდე; მევახშეობა, რომელიც ყველა პირობებში წინააღმდეგ იწვევდა თავისუფლების აღკვეთას ერთ წლამდე, ხოლო 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსით ამ ქმედობისათვის დაწესებული თავისუფლების აღკვეთის

ვალა დამამძიმებელ პირობებში განისაზღვრება ვადით სამ წლამდე სასტიკი იზოლაციით (192 მ. 2 ნაწ.), გამოძალვისათვის დაწესებული თავისუფლების აღკვეთის ვალა ახალი კოდექსის 193 მუხ. მიხედვით მეტია (სამ წლამდე), ვიდრე ეს 1922 წლის კოდექსში იყო გათვალისწინებული (ორ წლამდე).

რესპრესიის გაძლიერებად ქონებრივ დანაშაულის ზოგიერთ შემთხვევაში ჩვენ უნდა ჩავთვალოთ აგრეთვე ის, რომ მთელი რიგი მუხლები რომლების სანქცია წინა დროს იყო იძულებით მუშაობა ან თავისუფლების აღკვეთა. არ ითვალისწინებს ეს იძულებით მუშაობას. (180 მ. 1 ნაწ. გაძარცვა ძალადობის უხმარებლად, 183 მ. 1 ნაწ. თაღლითობის უბრალო სახე, 192 მ.—მეიჯახშეობა).

შემდეგ ჩვენ შეუდგებით იმის აღნუსხვას, თუ რა ცვლილება შეიტანა 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსმა ქონების წინააღმდეგ მიმართულ თვითუფლებო დანაშაულის შინაარსში.

ი. აფაქიძე.

კომლი, როგორც მიწის სარგებლო გზის სუბიექტი იურიდიულ პირის უფლებებით აღჭურვილი*.

6.

კომლის კონსტრუქციისათვის იურიდიული პირის სახით ზედმეტი არ იქნება მასთან დაპირისპირება იმ კავშირის, რომელიც ცნობილია გერმანიული სამართლის ისტორიაში სახელწოდებით *Gemeinderschaft rur gesamtten Hand* (ამხანაგობა, ოჯახი ურთიერთ ხელის ჩართვით) და რომელსაც აქვს კომლთან მხოლოდ გარეგნული მსგავსება. მაგრამ ვიდრე ამ დაპირისპირებას შეეუდგებოდეთ, საჭიროა იმის გამორკვევა, რა განსხვავებაა კომლის ქონებასა და ეგრედ წოდებულ „*Gesamteigentum*“-ის (საერთო საკუთრების განსაკუთრებული ფორმის) შორის, რომელიც არის ფუძე ხსენებული გაერთიანებისა.

კომლის ქონება, როგორც უკვე იყო აღნიშნული, არის კომლის წევრთა საერთო სარგებლობის ქონება. კომლის წევრთ ეკუთვნის ამ ქონების არა საკუთრების უფლება, არამედ თანაბარი უფლება მისი ერთად სარგებლობისა (მიწ. კოდ. 40 მუხ. შენ. ტ 51 მუხ.). თუმცა მიწის კოდექსის 41 მუხლში დადგინდა, რომ იმ მიწაზე, შენობაზე და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარზე, რაც კომლის განკარგულებაშია, ეკუთვნის კომლის ყველა წევრს ერთად, მაგრამ ეს არ შეიძლება გაგებულ იქნეს ისე, თითქოს აქ ლაპარაკი იყოს საკუთრების უფლებაზე. კომლის ქონებაზე რომ ვიცნოთ მის წევრთა საკუთრების უფლება, მაშინ ჩვენ გვექნება არა კომლის ქონება, არამედ კომლის წევრთა საერთო საკუთრება. ამას ადასტურებს მიწის კოდექსში არსებული განსაზღვრა კომლის ქონებისა და მისი წევრის.

მიწის კოდექსში გატარებული განსხვავების საფუძველი კომლის საკუთრებისა და მის წევრთა პირადი ქონების შორის იმაში დგომარეობს, ვის სარგებლობაშია ეს თუ ის ნივთი, რომელიც არის კომლის ფარგლებში. ეს პირობა ძირითადი პირობაა. მას ემატება მეორე მომენტი, რომელსაც მნიშვნელობა აქვს კომლის წევრის პირადი ქონების განსაზღვრისათვის, სახელდობრ ის, ვის ხარჯით არის ის შექმნილი. ეს ორი პირობა ერთმანეთს უნდა დაუკავშიროთ და ამ თვალსაზრისით უნდა მიუდგეთ კომლის წევრის პირადი ქონების განსაზღვრას. ამრიგად იმ საკითხის გადასაწყვეტად, რა ქონება ეკუთვნის კომლის ამა თუ იმ წევრს იმ საგნების შორის, რაც კომლის ფარ-

*) დასასრული. იხ. „საბჭოთა სამართალი“ № 5.

გლებშია, საჭიროა გათვალისწინება ორი, ერთმანეთისაგან განუყოფელი პირობისა. ერთი ისაა, რომ ეს ქონება უნდა იყოს კომლის წევრის პირად სარგებლობაში, მეორეა ის, რომ ეს ქონება ამავე დროს უნდა იყოს შექმნილი კომლის წევრის პირადი ხარჯით. რახან ეს ორი პირობა ახასიათებს კომლის წევრის დამოკიდებულებას ქონებასთან, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ქონება, რაც აკმაყოფილებს აღნიშნულ ორ პირობას, უნდა ჩაითვალოს კომლის წევრის პირად საკუთრებად. მაგრამ აღნიშნული დებულებებიდან ერთი გამოწვეულია დაშვებული. კომლის წევრის კუთვნილებათ შეიძლება ჩაითვალოს ისეთი ქონება, რაც მის ხარჯით არ იყო შექმნილი, მაგრამ მიუხედავად ამისა მის პირად, განსაკუთრებულ სარგებლობაშია და განკარგულებაში. ამ გამოწვევის აქვს ადგილი იმ შემთხვევაში, როდესაც ადათ-ჩვეულება ამა თუ იმ ქონებას ეკუთვნის კომლის განსაზღვრულ წევრს (51 მუხ.). ამ შემთხვევაში არ აქვს მნიშვნელობა იმ გარემოებას, შექმნილია თუ არა ასეთი ქონება კომლის წევრის პირადი ხარჯით ან არის თუ არა ის მის განსაკუთრებულ სარგებლობაში. აქედან ცხადია, რომ კომლის ქონებას შეადგენს ყველა ის ქონება, რაც კომლის წევრის პირად სარგებლობაში არ არის ტ მასთან თუმცა არის, მაგრამ მის ხარჯით არ არის შექმნილი, ხოლო იმ გამოწვევისით, რომ ამ ქონებას არ ეკუთვნის ის ნივთი, რაც ადათ-ჩვეულების თანახმად ცნობილია კომლის წევრის პირად კუთვნილებად. აქედან აშკარაა კომლის სანივთო უფლების ბუნება, რომელიც არ ჩამოგავს არც საერთო საკუთრებას, სადაც თანამესაკუთრეთა წილი იდეალურად არის განსაზღვრული, და არც იმ სახის საერთო, გაუნაწილებელ (*untheilbares*) საკუთრებას (*Gesamteigentum*), რომელიც იცის გერმანიული სამართლის ისტორიაში და გერმანიაში ამ ჟამად მოქმედმა სამართალმაც და რომელიც იმაში გამოიხატება, რომ მისი მეპატრონეა არა კავშირი, როგორც მთლიანი სოციალური ორგანიზაცია, არამედ პირთა ისეთი შეერთებულობა (*Gesamtheit*), რომელშიც საკუთრების უფლება ეკუთვნის ყველას ერთად და ის კავშირის არსებობის განმავლობაში გაუნაწილებელია (*untheilbares*¹). პირთა შეერთებულობის ქონებაზე სანივთო უფლება და აგრეთვე განკარგულების უფლება, საკუთრების დამახასიათებელი, ეკუთვნის ყველას ერთად. ასე რომ ამ ქონების გასხვავება არ შეიძლება, თუ არ იქნა კავშირის ყველა წევრის თანხმობა. ამ ქონების თავისებურებით განისაზღვრება იმ კავშირის თავისებურებაც, რომელიც ცნობილია როგორც „*Gemeinderschaft zu gesamtten Hand*“.

7.

პირთა კავშირი სახელწოდებით „*Gemeinderschaft zur gesamtten Hand*“ პოულობს თავის პირვანდელ და ბუნებრივ სახეს ოჯახის წევრთა გაერთიანებაში. სიტყვა „*Gemeinderschaft*“ ნიშნავს პირთა კავშირს, მის პირვანდელი და ბუნებრივი სახის მიხედვით კი ნათესავურ კავშირს—ოჯახს, ხოლო ამ სიტყვის დამატება—„*Zur gesamtten Hand*“—სიმბოლოს, რომელიც ახასიათებს ამ ოჯახში შემავალ პირთა უფლებრივ ურთიერთ დამოკიდებულებას საერთო, წილეთუფლებად განუსაზღვრელი და მასთან გაუნაწილებელი საკუთრების საფუძველზე და ამ დამოკიდებულებიდან გამომდინარე სხვებთან მიმართებას. ასეთი საკუთრების მიმართების არსი შედგება: ოჯახის წევრთა ასეთი კავშირის მიზანი იყო დაცვა წევრთა ქონების მთლიანობისა. ოჯახი, რა თქმა უნდა, აწარმოებდა მეურნეობას, რომლის საფუძველს წარმოადგენდა ოჯახის წევრთა გაერთიანებული და მასთან გაუნაწილებელი საკუთ-

¹) Dr. C. Endemann. *Zerbuch des Bürgerlichen Rechts* 6 გამოც., 270 გვ. (დოქ. ფ. ენდემან. სამოქალაქო სამართლის სახელმძღვანელო).

რება, რომელიც ეკუთვნოდა არა ოჯახს, როგორც მთლიან, ერთიან პირს, არამედ წევრთა შეერთებულობას, ყველას ერთად თვითეული მათგანის წილის განუსაზღვრელად. ოჯახის წევრთა აღნიშნული სახის საკუთრების მთლიანობის დასაცავად ის აუცილებელი პირობა იყო განმტკიცებული, რომ ოჯახის არც ერთ წევრს არ ჰქონდა განკარგულების უფლება არამც თუ მთელი ქონების მიმართ, არამედ მისი ნაწილისაც; ასეთი უფლება ჰქონდა მხოლოდ ოჯახის ყველა წევრს ერთად¹⁾. მაგრამ ოჯახის მეთაურს კი, თუ იგი მამაა, ჰქონდა განკარგულების უფლება, რაც წარმოადგენს გამონაკლისს იმ დებულებიდან, რომ ყველას ერთად აქვს უფლება განკარგულებისა როგორც მთელი ქონების მიმართ, ისე მის ნაწილისაც. ეს უფლება მამისა ვრცელდება არა ყველა ქონებაზე, არამედ მხოლოდ მოძრავ ნივთებზე. მამა არის უდავო მეთაური ოჯახისა. მისი უფლება უძრავი ქონების გასხვისებისა და ვალთ მისი დატვირთვისა შეზღუდულია ოჯახის წევრთა — გაყიშვილების თანხმობით, ერთად მოქმედებით (durch die gesammte Hand). ამავე დროს ის დამოუკიდებლად მოქმედობს მეურნეობაში (ოჯახში) და მოძრავი ქონების სფეროში: ის განსაზღვრავს მეურნეობის წესს და აარჩევს მეურნეობის სახეს, კისრულობს ვალდებულებებს და წარმოადგენს პროცესში ოჯახის წევრთა გაუნაწილებელი საკუთრების ინტერესს²⁾. საერთო ოჯახის წევრთა ქონების მთლიანობის დაცვა ბოლომდე არ ტარდება, რადგან მის წევრს შეუძლია გამოიყოს. მაგრამ გამოყოფილს ეკარგება უფლება იმ ქონებაზე, რაც ოჯახში დარჩება, ყოველ შემთხვევაში სანამ ოჯახი არსებობს, რახან მას მიღებული აქვს თავისი წილი და ამ გარემოებით შეწყვეტილია მისი შემკვიდრება³⁾.

ზემოდ აღნიშნულიდან ნათელია, რომ ოჯახის ყველა წევრს აკავშირებს გაუნაწილებელი საერთო საკუთრება, რომ ამ საკუთრების იმ ნაწილის მთლიანობა, რომელიც უძრავ ნივთებში გამოიხატება, ყოველ პირობებში არის მტკიცედ დაცული, მისი განკარგულება არ შეიძლება ისე, რომ მასზე არ იყოს ყველა წევრის თანხმობა, ერთად მოქმედება — (Zu gesammten Hand), რაც პროფ. ჰეისლერის განმარტებით სიმბოლოს გამოხატავს და რისი არსი შემდეგში მდგომარეობს: რამდენიმე ერთად მოქმედი პირი ხელებს შეართებენ იურიდიული მნიშვნელობის აქტის შესასრულებლად იმის ნიშნად, რომ ისინი გარეგებას სდებენ. ამ შემთხვევაში საჭიროა, რომ ხელები იქნენ შეერთებული; ერთის ხელი არ არის საკმარისი არა თუ მთელი ქონებისა, არამედ მისი ნაწილის განკარგულებისათვის. ასე რომ უფლებები და მოვალეობანი ხორციელდებიან ერთად მოქმედებებში (in gemeinsamen Handeln) და ყველამ ერთად უნდა იმოქმედოს, ცალკე პირი კი სხვას ვერ დაასრულებს. ეს ყოველ შემთხვევაში, განაგრძობს ჰეისლერი უკვე მოყვანილ ნაშრომში, თუმცა ზოგადია და საკმაოდ არ არის განსაზღვრული, მაგრამ მაინც გამოსადეგია იმისათვის, რომ დადასტურებულ იქნეს წილობითი (Quotenprinzip), ან სოლიდარული პრინციპის წინააღმდეგობა: წილობითი პრინციპის, რომელიც თვითეულს აძლევს საშუალებას განკარგულება იქონიოს თავისი წილით, სოლიდარული პრინციპის, რომელიც პირიქით აძლევს თვითეულს ნებას წარმოადგინოს მთელი (უფლება ან მოვალეობა) უიმისოდ, რომ სხვებმა იმოქმედოს⁴⁾.

პროფ. ჰეისლერის მოყვანილი დახასიათება კავშირისა სახელწოდებით „Gemeinderschaft zur gesammten Hand“ ააშკარავებს, რომ ამ კავშირს იურიდიული პირის

ბუნება არა აქვს, აქ სიმძიმის ცენტრია ოჯახის წევრთა საერთო გაუნაწილებელი საკუთრება, რომლის უფლებაც ეკუთვნის არა ოჯახს, არამედ მის წევრებს პერსონალურად, ხოლო არა ცალკე, არამედ ერთად წევრების ასეთი დამოკიდებულება ქონების მიმართ გამოხატავს მათი საკუთრების უფლების შეზღუდვას და არა იმას, რომ მათი შენაერთი წარმოადგენს იურიდიულ სუბიექტს.

პირიქით კომოს სულ სხვა მომენტები ახასიათებენ, რაც აშორებს მას ხსენებულ კავშირის ბუნებასა და ხასიათს. კომოს წევრთ უშუალოდ აერთებს კომოსში არა საკუთრება, არამედ სოფლის მეურნეობის წარმოება, რომელიც ემყარება საერთო სარგებლობის მიწაზე და საერთო შრომას. კომოსის საკუთრება, ემსახურება რა სოფლის მეურნეობას, წარმოადგენს კომოსის წევრთა საერთო სარგებლობის ქონებას. ამ მხრივ კომოსის წევრთა დამოკიდებულება ამ ქონების მიმართ ისეთივეა, როგორც მიწის მიმართ, ე. ი. მათ ერთად ეკუთვნის მისი სარგებლობა, მაგრამ მიწასთან და ამ ქონებასთან დამოკიდებულების საფუძველი მაინც სხვადასხვაა. მიწასთან მიმართება კომოსის და მის წევრებისა ემყარება სახელმწიფოს საკუთრებას მიწაზე და ამ მიწის შრომით სარგებლობას, კომოსის ქონებასთან კომოსის მიმართება კი კერძო საკუთრებრივია, მაგრამ ეს მიმართება გამოხატავს არა საერთო საკუთრებას ან შეერთებულ და მასთან წილეულად არ განსაზღვრულ და გაუნაწილებელ საკუთრებას, არამედ კომოსის მთლიან ერთიან ქონებას, მის წევრთა საერთო სარგებლობაში მყოფს, ე. ი. ისეთს, რომელიც კომოსის წევრის წალი არ არის განსაზღვრული და არც შეიძლება განისაზღვროს, ვიდრე საქმე არ მივა კომოსის გაყარამდე ან კომოსიდან გამოყოფამდე ან და კომოსის დაშლამდე. აქ წილის განსაზღვრა ემყარება არა საკუთრების უფლებას, როგორც ეს აქვს ადგილი გერმანულ კავშირში, არამედ გარემოებათა მთელ რიგს: მეურნეობაში მონაწილეობას, მეურნეობის ინტერესს და სხვ.

ის გარემოება, რომ ოჯახის მეთაური გამოდის პროცესში მთლიანი ქონების წარმომადგენლად, არ გვაძლევს ნებას ის ვიცნოთ იურიდიულ პირად. აქ წარმომადგენლობაა არა კავშირის, როგორც ერთეულის, დამოუკიდებელი სუბიექტის, არამედ ქონების. ასეთივე მდგომარეობაა გერმანული სამოქალაქო დებულების თანახმად იმ ქონების მიმართ, რომელიც მეუღლეთა გაერთიანებულ ქონებად ითვლება. ამ ქონების მმართველობა ეკუთვნის ქმარს, რომელიც ხსენებული დებულების 1388 მუხლის ძალით შეუძლია თავისი სახელით განახორციელოს სისამართლოს წესით ის უფლება, რაც შედის მეუღლეთა მიერ შეტანილი ქონების შედგენილობაში. სასამართლოში წარმომადგენლობა არ ამტკიცებს, რომ აქ არის საკუთრება იურიდიული პირის.

რაც შეეხება იმას, რომ „Gemeinderschaft“-ის ქონების ნაწილიც არ შეიძლება გასხვისებულ იქნეს მისი რომელიმე წევრის მიერ, თუ ვინც ეს ნაწილი მიეცა იმ შემთხვევაში, როდესაც ის გამოიყოფა, უნდა ითქვას, რომ ეს სრულებით არ მიუთითებს იმაზე, რომ ეს ქონება კავშირის საკუთრებაა. ის გარემოება რომ კავშირის წევრებს არ აქვთ განკარგულების უფლება ქონების მიმართ გარეშე ყველასი შეთანხმებისა, ერთად მოქმედებისა, გამოხატავს საკუთრების უფლების შეზღუდვას. აქ ეს შეზღუდვა უფრო ფართოა, ვიდრე იმ პირობებში, როდესაც არის კავშირის წევრთა საერთო საკუთრება. გერმანულმა სამართალმა იცის ისეთი ამხანაგობები, რომლებსაც აქვთ მის წევრთა გაერთიანებული, გაუნაწილებელი და მასთან წილეულად განუსაზღვრელი ქონება, მაგრამ ასეთი ამხანაგობა არ წარმოადგენს იურიდიულ პირს, მას კანონი არ ანიჭებს იურიდიული სუბიექტის უფლებებს. სეთ ამხანაგობების შესახებ გერმანულ სამოქალაქო დე-

1) Dr. Andreas Heuser. Institutionen des Deutschen Privatrechts, 1 ტომი, 1885 წ. გამ. გვ. 236. (დოქ. ან. პ. ჰეისლერი, გერმანული სამოქ. სამართალი).
 2) იხ. იმავე ნაშრომის 245 გვ.
 3) იქვე 242 გვ.
 4) იქვე 226 გვ.

ბულების 54 მუხლში ჩვენ ვპოულობთ შემდეგ დადგენილებას: „იმ საზოგადოებებს, რომელთაც არა აქვთ საშუალება უფლება უნარიანობა, შეეფარდებიან დადგენილებანი ამხანაგობების შესახებ. მესამე პირებთან საზოგადოების სახელით დადებულ ვარიგებისათვის პასუხს ატებს მათ წინაშე ის პირი, რომელმაც ვარიგება დასდო: უკეთუ მას დასდებს რამდენიმე პირი, პასუხს ატებენ ისინი სოლიდარულად (как совокупные должники)“ ასეთი კავშირის შესახებ გერმანელი მეცნიერი კოლერი იძლევა შემდეგს, მის ბუნების შესაფერ განმარტებას: „მათ აქვთ ამხანაგობის ორგანიზაცია; მათი ქონება ეკუთვნის თვითეულ წევრს ცალ-ცალკე საერთო საკუთრების საფუძველზე, მასთან კავშირის წევრებს შეუძლიათ გამოვიდნენ კავშირიდან, ხოლო არ აქვთ თან წაიღონ იმ ქონების ნაწილი, რაც კავშირის ეკუთვნის. მათი სიკვდილის შემდეგ კავშირი არ იშლება. კავშირის წევრების პასუხისმგებლობა უნდა იქნეს განხილული, როგორც ქონების იმ რაოდენობით განსაზღვრული, რაც კავშირის ეკუთვნის, რე განსაზღვრული სახელდობრ ჩუმილი თანხმობის ძალით, — რადგან კრედიტორებს აქვს საქმე კავშირის არა ცალკე პირებთან, არამედ კავშირთან, როგორც მთელთან“¹⁾. კოლერი აქვე აღნიშნავს ამ კავშირების ერთ თავისებურებასაც, რომ მათ არა აქვთ უფლება სარჩელი აღძრან. სარჩელის აღძვრა შეუძლია თვითეულ წევრს, პირიქით მათ, როგორც მთელის მიმართ შეიძლება აღძრულ იქნეს სარჩელი. ეს მდგომარეობა მის მიერ იმ მხრივ არის განმარტებული, რომ ისინი საპროცესო მხრით ცნობილი არიან იურიდიულ პიროვნებად. დამოუკიდებელი სუბიექტის უნარის ნაკლებობა მითითებს იმაზე, რომ ეს კავშირი ვერ გამოვა პროცესში მოსარჩლეთ. ქონების ვაერთიანებას რომ ჰქონდეს მნიშვნელობა კავშირის იურიდიულ პირის კონსტრუქციისათვის, მაშინ ის ოჯახიც, სადაც ვაერთიანებულია მეუღლეთა ქონება, უნდა იქნეს ცნობილი იურიდიულ პირად. გარდა იმისა, რომ კანონი ასეთ კავშირებს არ სცნობს იურიდიულ პირად, ჩვენ ვერ ვიპოვებთ მათ არსებობას და ორგანიზაციაში ისეთ ნიშნებს, რომლებსაც შეგვძლოს შეუფარდოთ იურიდიული პირის კონსტრუქციას. სულ სხვა მდგომარეობაა კომლის მიმართ.

კომლი, როგორც მოყვანილი ანალიზიდან ჩანს, არ წარმოადგენს დასახელებულ კავშირების მსგავს ორგანიზაციას, როგორც თავისი აგებულებით, ისე მიზნით და არსებობის საფუძველით, თუმცა მის შესახებ კანონში არსად არ არის ხაზგასმით ნათქვამი, რომ ის იყოს იურიდიული პირის უფლებებით აღჭურვილი, მაგრამ ყველა ის ნორმა, რომელიც როგორც უკვე იყო განმარტებული, განსაზღვრავს მის როგორც კავშირის უფლებებს, მის უფლებებთანადასაბამის და აგრეთვე წევრებთან ერთი მხრით და გარეშე პირთა მის იურიდიულ მიმართებას მეორე მხრით, ნათელჰყოფს, რომ არ შეიძლება მისი სხვა კონსტრუქცია, თუ არა იურიდიული პირის უფლებებით აღჭურვილი ორგანიზაციისა. კომლის შესახებ ჩვენ იგივე შეგვიძლია ვთქვათ, რასაც კოლერი გამოთქვამს გერმანული კერძო სამართლის ზოგიერთ იურიდიულ პირების შესახებ. აქ საჭიროა, სწერს ის, გავატაროთ განსხვავება აშკარა და ფარულ იურიდიულ პირების შორის, რადგანაც სამოქალაქო დებულებაში არის შემთხვევათა მთელი რიგი, სადაც კონსტრუქციულად უნდა ვიგულისხმოდით იურიდიული პირი, თუმცა მასზე აშკარად არ არის ლაპარაკი“. ამით ჩვენ არ გვინდა ვთქვათ, რომ შეიძლებოდეს ანალოგიის გატარება კომლისა და იმ ორგანიზაციების შორის, რომლებიც აქვს სახეში კოლერს. კოლერის ხსენებული შეხედულება იყო მოყვანილი იმ დებულების დასადასტურებლად და ნათელსაყოფად, რომ არ არის საჭირო რომელიმე კავშირის ცნობა იურიდიულ პირად

ემყარებოდეს მხოლოდ კანონის პირდაპირ დადგენილებას, რომელიც ხაზის გასმით სცნობს მას იურიდიულ პირად, არამედ აუცილებელია კანონში იყოს ისეთი დადგენილებანი, რომლებიც აშკარავენ ასეთი კონსტრუქციის საფუძლიანობას. ამასთან დაკავშირებით გასაშუქებელია და კრიტიკაში გასატარებელი ერთი შეხედულება, რომელიც თითქმის არყვეს კომლის კონსტრუქციას როგორც იურიდიული პირის. ეს ისაა, რომ კომლს არ აქვს, კონსტიტუტიური აქტი. მართალია ასეთი ცალკე აქტი კომლისათვის არ არის მაგრამ ის, რაც ამ აქტში უნდა იყოს გათვალისწინებული და დადგენილი, მიწის კოდექსში დაახლოებით იმდენად არის განსაზღვრული, რამდენად მას, როგორც სრულებით მარტივ ორგანიზაციას სჭირდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი რამ არ არის გათვალისწინებული, როგორც მაგალ., კომლის წევრთა შორის ქონების განაწილების პრინციპები, საფუძველები, რომლის მიხედვით უნდა იქნეს ქონების გამოყოფა და სხვა, მაგრამ ამ ნაკლს ავსებს სასამართლო თავისი შემოქმედებით სამართლის სფეროში, რომლის უფლება მას აქვს თანახმად სამ. საპრ. კოდ. 6 მუხლისა.

ასეთ თავისებურ ორგანიზაციას, როგორიც არის კომლი, ვერ მივსცემთ იმავე კონსტრუქციას, როგორიც აქვს კორპორატიული სახის იურიდიულ პირებს, სამოქ. სამარ. კოდექსით გათვალისწინებულს. აქ აქვს მნიშვნელობა კომლის წარმოშობის საფუძველს, მისთვის სახელმწიფოს მიერ მიზნის განსაზღვრას, ამ კავშირის მოსაპოვებ იმ პირობას, რომელიც განისაზღვრება კომლის მიერ სოციალური ფუნქციის განუხორციელებლობით ან არასათანადოდ განხორციელებით, კომლის წევრების უფლებების უმეშვეოდ დაკავშირებას მიწაზე უფლებასთან და სხვ. აქედან ცხადია რომ შეუძლებელია კომლის კონსტრუქციის ჩამოყალიბება ისე, როგორც ეს შეიძლება სამოქალაქო სამარ. კოდექსით გათვალისწინებული იურიდიულ პირების მიმართ, მაგრამ ასეთი შეუძლებლობის გამოყენება იმისათვის, რომ არ ვიცნოთ კომლი იურიდიული პირის უფლებებით აღჭურვილ ორგანიზაციას, იქნებოდა ავალების დახუჭვა იურიდიული სინამდვილის წინაშე და დაეყარება თავისი მსჯელობის ისეთ დებულებებზე, რომლებსაც განყენებული შინაარსი აქვს.

კ. მიქელაძე.

სამოქალაქო მოქალაქეები სისხლის სამართლის საქმეში.

(სამ. საპრ. კოდექ. 14 მუხ.).

სამ. საპ. კოდექ. მე-14 მუხლი დანაშაულისაგან დაზარალებულ პირს უფლებას აძლევს წარუდგინოს სარჩელი ბრალდებულს და იმ პირებს, რომელნიც ატებენ პასუხს ბრალდებულის მიერ მიყენებულ ზარალისათვის. საკითხია, ვინ არიან ეს უკანასკნელი პირები?

1. ის პირნი და საწარმო, რომლის მოქმედებასაც თანასდევს მომეტებული საფრთხე გარშემო მყოფთათვის; როგორიც არის: რკინის გზა, ტრამვაი, საფაბრიკო საქარხნო საწარმო, ასანთი მასალით ვაჭარი, გარეულ ნადირთა პატრონი, შენობათა ან სხვა ნაგებობის მშენებელი პირი და სხვა, პასუხს ატებენ იმ მავნებლობისათვის, რაც მიყენებულია მომეტებული საფრთხით წარმოშობილი მიზეზით, უკეთუ არ დაამტკიცებს, რომ მავნებლობა მიყენებულია დაუძლეველი ძალის გამო, ან თვით დაზარალებულის განზრახვისა, თუ უხეში დაუდევრობის გამო (404 მუხ. სამოქ. კოდ.). ამასთან რკინის გზის შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ მ-ს წინააღმდეგ არ შეიძლება სამოქ. სარჩელის აღძვრა სისხლის სამართლის საქმეში. რკინის გზათა წესდების 105 მუხ. ძალით ასეთი სარჩელი წარდგენილ უნდა

1) II. Колер. Современное гражданское право Германии, 69 гз.

იქნეს სამოქ. სასამართლოში. ისეთ საწარმოდ, რომლის მოქმედებასაც თანასდგევს მომეტებული საფრთხე გარშემო მყოფთათვის, უნდა ჩავთვალოთ ავტომობილებიც. ამასთან ამ შემთხვევაში მატერიალურად პასუხი უნდა აგოს მფლობელმა და არა შოფერმა და შიგ მჯდომმა და ეს პასუხისმგებლობა არ შეიძლება გადატანილ იქნეს კატასტროფის ფიზიკურ დამნაშავეზე თანახ. სამოქ. კოდექსი 404 მუხ. სწორი აზრისა.

2. არა ქმედობაუნარიანი პირი, გარდა იმ შემთხვევებისა, რაც გათვალისწინებულია სამოქ. სამ. კოდ. 9 მუხ., პასუხს არ აგებს მიყენებული ზიანისათვის. მის მაგიერ პასუხს აგებს პირი, რომელიც ვალდებულია იქონიოს მისხედ ზედამხედველობა. ამ პირთა რიცხვს გარდა მშობლებისა და მეურვის, უნდა მივაკუთვნოთ ყველა ის, ვინც ვალდებულია იზრუნოს არა ქმედობაუნარიან პიროვნებაზე (ადმინისტრაცია, აღმზრდელი ან სამკურნალო დაწესებულებები, ან საწარმოს პატრონი, სადაც მუშაობს არასრულწლოვანი). ს.ს. კ. 9 მუხ. ძალით არასრულწლოვანი, რომელსაც შეუსრულდა 14 წელი, უფლება აქვს აღებულ ხელფასზედ დამოუკიდებელი განკარგულებისა და პასუხს აგებს სხვა პირებისათვის მიყენებულ ზიანისათვის. ამისათვის სამოქალაქო სარჩელი სისხ. სამართ. წესით უნდა წარედგინოს უშუალოდ იმ პირს, ვისაც 14 წელი შეუსრულდა, ხოლო ხელფასის ფარგლებში.

3. დაწესებულება პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რაც მიყენებულია თანამდებობის პირის არა სწორი სამსახურებრივი მოქმედებით მხოლოდ კანონით ცალკე აღნაშნულ შემთხვევაში, უკეთუ ამასთანავე თანამდებობის პირის მოქმედების არა სისწორეს სცნობს სათანადო სასასართლო ან ადმინისტრაციული ორგანო დაწესებულება განთავისუფლებდა პასუხისმგებლობისაგან, უკეთუ დაზარალებულმა თავის დროზე არ განასაჩივრა თანამდებობის პირის არა სწორი მოქმედება. დაწესებულებას თავის მხრივ უფლება აქვს დააკისროს ასეთ თანამდებობის პირს დაზარალებულისათვის გადახდილის ან ზღაურება (სამ. კოდ. 407 მუხ.). ამრიგად ეს პასუხისმგებლობა დაშვებულია კანონით ცალკე აღნიშნულ შემთხვევაში, ასე მაგ.: 1) კერძო პირთა და საზოგადოებათა ქონების რეკვიზიციისა და კონფისკაციის წესის შესახებ დებულების 12 მუხ. თანახ. (დანიართი 69 და 70 მ. მ. სამ. კოდ.) თანამდებობის პირი, რომელიც დაარღვევს დებულებაში განსაზღვრულ წესებს, პასუხს აგებს სასამართლოს წესით, მაგრამ მიუხედავად ამისა, დაზარალებულს უფლება აქვს მოითხოვოს უკანონოდ ჩამორთმეული ქონება ან ზარალის ანაზღაურება, რისთვისაც იგი სარჩელს აღძრავს სათანადო სასამართლოში სახელმწიფო ხელისუფლების იმ ორგანოს წინააღმდეგ, რომლის წარმომადგენელმაც უკანონოდ მოახდინა რეკვიზიცია ან კონფისკაცია; 2) თანახ. შრომისა და თავდაცვის საბჭოს 17 ივლისის 1923 წ. დადგენილების 4 მუხ. (კან. კრებ. 1923 წ. № 83, მუხ. 82) ფოსტა ტელეგრაფის უწყება პასუხს აგებს საფოსტო განაგზავნის დეკარგვისა, დანაკლისისა და გაფუჭებისათვის, რაც გამოწვეულ იქნა არა მარტო ფოსტა ტელეგრაფის უწყების მოსამსახურეების, არამედ უცხო პირთა მოქმედებით და აგრეთვე შემთხვევითაც, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს მოქმედება უშუალოდ არ იყო გამოწვეული სტიქიის ან საომარი მოქმედებებით.

4. თანახ. რკინის გზის წესდების 101 მუხ. რკინის გზა პასუხს არ აგებს გადასაზიდავად მიღებულ ტვირთის დაკარგვისა ან გაფუჭებისათვის, თუ დაამტკიცებს, რომ იგი მონდა გარდაუვალი ძალის მოქმედების გამო ან ტვირთის თვისების, ან ტვირთის პატრონის ბრალის გამო. შემოსენებულთან დაკავშირებით საინტერესოა შემდეგი საკითხი, პასუხს აგებს თუ არა ქონების დამქირავებელი მას პატრონის წინაშე სამოქ. საპრ. კოდექსის 14 მუხ. მიხედვით იმ შემთხვევაში, როდესაც დაქირავებული

ქონება განადგურებულია ან გაფუჭებული დამქირავებლის მინაურებისა, მსახურთა ან მუშების განზრახი მოქმედებით. სამოქ. კოდ. 177 მუხლის ძალით დამქირავებელი პასუხს აგებს დაქირავებული ქონების ზიანისათვის, თუ ასეთი მიყენებულია მისი მინაურებისა, მსახურთა ან მუშების მიერ. სამ. კოდექსი კომენტატორის გოიხბარკის აზრით (მე-4 გამოცემა „სავალდებულო სამართალი“ გვ. 31, ბრონშტეინის კომენტარები) 177 მუხ. ლაპარაკია არა იმ ზიანზე, რომელიც წარმოსდგა ქონების ჩვეულებრივი სარგებლობის გამო, არამედ წინდაუხედველობით, უხეშობით ან ბოროტი განზრახვით. ზიანი, ქონებისათვის მიყენებული წინდაუხედველობით ან უხეშ მოქმედებით ანაზღაურებული უნდა იქნეს სამოქალაქო წესით. გაუფრთხილებლობის გამო განადგურება ქონებისა, რასაკვირველია, არ შეიცავს დახაშულებრივი ქმედობის შედგენილობას, ამიტომ საკითხი მისგან წარმომდგარ ზარალის ანაზღაურებისა გადაწყვეტილ უნდა იქნეს სამოქალაქო სასამართლოში. ასეთ შემთხვევაში ქონების პატრონის უფლება აქვს აღძრას სარჩელი ქონების დამქირავებლის წინააღმდეგ, მასთან, როგორც სამართლიანად აღნიშნავს რ. ს. ფ. ს. რ. უზენეს სასამართლოს სამოქალაქო საკასაციო საკრებულო თავის 1924 წლის 16 სექტემბრის დადგენილებაში დამქირავებლის პასუხისმგებლობა არ შეიძლება განისაზღვროს სამ. კოდ. 403 მუხლის მიხედვით მხარეთა შორის დაქირავების ხელშეკრულების არსებობის გამო. რაც შეეხება ქონების დამქირავებელს, მას მოსამსახურეთა და მუშების მიმართ შეუძლია გამოიყენოს ის უფლება, რაც გათვალისწინებულია შრომის კანონთა კოდექს. 83 მუხლში, ე. ი. არ აქვს უფლება მთელი ზარალის დაფარვა მოითხოვს, თუ ის აღემატება მუშის ან მოსამსახურის ხელფასიდან 1/3 სატარიფო თვიური განაკვეთის ერთდროულ გამოსარიცხს.

აღძრულ თემისათვის საინტერესოა არა ის შემთხვევები, როდესაც მიყენებულია ზიანი დაქირავებული ქონებისათვის მინაური მოსამსახურის ან მუშის გაუფრთხილებლობით, არამედ შემთხვევაში დაქირავებული ქონების გაფუჭებისა ან განადგურებისა შიხამსახურთა და მუშათა ბოროტი განზრახვით, ვინაიდან ლაპარაკია სამოქალაქო მოპასუხებებზე სისხ. სამ. საქმეში. თუ დავეთანხმებით გოიხბარკის განმარტებას და ვსცნობთ, რომ ქონების დამქირავებელი პასუხს აგებს მისი პატრონის წინაშე იმ პირების მიერ ქონებისათვის ზიანის მიყენებისათვის ბოროტი განზრახვის შეთხვევაშიაც, რომელნიც დასახელებულნი არიან სამ. კოდ. 177 მუხ., დისმევა კითხვა, როგორი წესით უნდა განახორციელოს მოსარჩელემ თავისი უფლებები ზარალის ასანაზღაურებლად, სარჩელის აღძვრით სამოქ. სამართლის წესით, თუ სისხლის სამართლის საქმეში. ორივე შემთხვევაში ქონების პატრონი მოვალეა დაამტკიცოს ფაქტი ქონების გაფუჭებისა ან განადგურების ერთ-ერთ პირთაგან, რომელნიც აღნიშნულნი არიან სამ. კოდექს. 177 მუხლში. საქმე იმაშია, რომ თუ სისხლის სამართლის საქმე დაწყებულია ქონების განზრახვი განადგურებისა ან გაფუჭებისათვის, დამნაშავის წინააღმდეგ ქონების პატრონის სარჩელი დამქირავებლის წინააღმდეგ არ შეიძლება გადაწყვეტილ იქნეს სამოქალაქო სასამართლოში საქმის სისხლის სასამართლოში განხილვამდე. ამ შემთხვევაში სამოქალაქო სასამართლო ვალდებულია თანახ. სამოქ. საპრ. კოდ. 114 მუხ. „დ“ პუნქტ. შეაჩეროს წარჩევა. მაშასადამე ქონების პატრონს თანახ. 14 მუხ. მოუხდება წარადგინოს სარჩელი სისხლის სამართლის საქმეში და მიიღოს თავის თავზე ქონების განადგურების ან გაფუჭების ფაქტის მტკიცება იმ პირის მიერ, რომლის მაგიერ პასუხს აგებს დამქირავებელი სამოქ. კოდ. 177 მუხ. თანახმად. გოიხბარკის აზრი ვერ ჰპოულობს კანონში საფუძველს, რადგან სამ. კოდ. 177 მუხლი ლაპარაკობს წმინდა სამოქალაქო ხასიათის ურთიერთობაზე,

და ამასთან იგი არ არის დასაბუთებული. ქონების დამქირავებელი სდებს რა ქირავნობის ხელშეკრულებას, ვერ მისცემს ქონების პატრონს იმის გარანტიას, რომ ქონება არ დაზიანდება ბოროტი განზრახვით. ბოროტი განზრახვა პირისპირ აყენებს დამნაშავეს სისხლის სამართლის საქმეში დაზარალბულთან პირადი პასუხისმგებლობის ძირითადი პრინციპის ძალით, და რადგან ამ შემთხვევაში დანაშაულს თან მოჰყვება ზარალი ქონების პატრონისა, ის უნდა ჩაითვალოს დაზარალბულად, ვისაც უფლება აქვს უშუალოდ ისარჩლოს ბრალდებულის წინააღმდეგ. აღძრული საკითხი ყოველ შემთხვევაში თხოულობს ყოველ მხრივ გაშუქებას პრესაში.

სისხ. სამ. საპრ. კოდექსი არ ითვალისწინებს საპროცესო უფლებებს, რომლითაც უნდა ისარგებლონ სამოქალაქო მოპასუხეებმა სისხ. სამ. საქმეში.

სისხ. სამ. საპრ. კოდ. 23 მუხ. 6 პუნქტში, სადაც ჩამოთვლილი არიან მხარეები პროცესში, სამოქ. მოპასუხეებზე არაფერია ნათქვამი. მიუხედავად ამისა ის პირი, ვინც პასუხს აგებს დამნაშავეს მიერ მიყენებულ ზარალისათვის, არ შეიძლება არ ჩაითვალოს საქმეში მხარედ, ვინაიდან სასამ. განაჩენით, სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილების დროს, მათ შეიძლება მიესაჯოთ რაიმე თანხის გადახდა დაზარალბულის სასარგებლოდ და საერთოდ პასუხისგებაში მიცემულისაგან მიყენებული ზიანის და ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებით და რადგან ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს თავი დაიცვას ყოველი კანონიერი საშუალებით მის წინააღმდეგ აღძრული სარჩელისაგან, სამოქალაქო მოპასუხეებზე არ შეიძლება არ იქნეს ცნობილი საპროცესო უფლებები. ამ უფლებების დასაცავად მათ უნდა მიეცეს საშუალება განაჩენის განსაჩივრებისა ან განაჩენის მათთვის გამოცხადების მომენტიდან ან იმ მომენტიდან, როდესაც ეს განაჩენი მათ შეიტყვეს. რ. ს. ფ. ს. რ.-ის უხეანეს სასამართლო თავის 1923 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილებაში № 588 სცნო განაჩენის განსაჩივრების უფლება იმ პირებზე, რომელთაც მონაწილეობა არ მიუღიათ საქმეში იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს მიერ იყო დადგენილი კონფისკაცია მათი ქონების შესახებ. ასეთი პრინციპიალური განმარტება ნებას გვაძლევს გამოვიყვანოთ შემდეგი დასკვნა, რომ ყველა ის პირი, ვისაც სასამ. განაჩენით დაეკისრებათ სამოქალაქო შედეგები პასუხისგებაში მიცემულის მიერ ჩადენილისა, ცნობილ უნდა იქნეს მხარედ და მას მიენიჭოს განაჩენის განსაჩივრების უფლება. მასთან საჭიროა ცნობილ იქნეს განაჩენის განსაჩივრების უფლება იმ დაწესებულებებსა და პირებზე, ვისც მატერიალური ინტერესებიც შელახულია სასამ. განაჩენით, მაგ., საჯარიმო თანხების არა სწორი განსაზღვრის დროს შრომის კანონების დარღვევის საქმეებზე, კონტრაბანდის საქმეებზე და სააქციო ზო წესების დარღვევის ნიადაგზე წარმოდგარ საქმეებზე.

კ. პლეტნიკოვი.

სატერმინოლოგიის მასალისათვის.
თვით მასალა

ამ ნომრიდან ვიწყებთ სატერმინოლოგიო მასალის ბეჭდვას. მასალა დალაგებული გვაქვს რუსული ანბანის მიხედვით. კვლავ ვიმეორებთ, რომ ეს არის მხოლოდ მასალა და მამასადამე ყველას შეუძლია გვაცნობოს თავისი აზრი და შესწავლა ამა თუ იმ ტერმინის შესახებ, დაიწუნოს გამოქვეყნებულ მასალაში, რაც დასწუნია, და მოგვაწოდოს თავისი გამოცდილებიდან და დაკვირვებიდან უკეთესი და უფრო მარჯვე ტერმინები. საჭიროდ მიგვაჩნია განვაცხადოთ ისიც, რომ ჩვენს სატერმინოლოგიო მასალაში გამოქვეყნებული იქნება ბევრი ისეთი ტერმინი, რომელსაც თუმცა ზოგადი და არა


ვიწრო-იურიდიკული მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ჩვენს საყოველღეო პრაქტიკაში ამ ტერმინებს ძლიერ ხშირად ვემთხვევით და ჩვენც ამატომ ვათავსებთ ჩვენს მასალაში.

შეიძლება დანიხანას, რომ, როგორც „ზოგად შემნიშვნებში“ (რ. ს. № 4) გვექონდა აღნიშნული, საერთოდ ჩვენ ვერიდებით საერთაშორისო ტერმინების თარგმანს, ზოგიერთი უკიდურესი შემთხვევის გარდა, და ვამჯობინებთ ლათინური ან ფრანგული ტრანსკრიპცია ამა თუ იმ ტერმინისა ჩვენი გრამატიკის წესების დაცვით გადმოვქართულთ იმნაირივე უფლებითა და საფუძვლით, როგორც, ვსთქვათ, ასეთი ტერმინი რუსებს და სხვებს თავ სი ენის ყაიდაზედ გადაუღიათ, ხოლო საერთაშორისო ტერმინის გვერდით, პარალელურად, აქა-იქ ქართულ ტერმინსაც ვათავსებთ, როცა ეს საჭიროდ მიგვაჩნია.

ამასთანავე გზა და გზა ჩვენ აღნიშნული გვაქვს, თუ რომელი ტერმინი, სხვა და სხვა ლექსიკონით შემოღებული და პრაქტიკით უკვე დაკანონებული, უნდა განდევნილ იქნეს ხმარებიდან.

A.

- Абонемент — აბონემენტი
- Абонт — აბონენტი
- Абонементный — სააბონემენტო
- Абориген — (აბორიგენი), მკვიდრი, ბინადარი
- Аванс — ავანსი (შენ.: სრულიად უვარგისია ტენნიკური ლექსიკონის „წინღები“) *მეფაყრაყ.*
- Аборт — აბორტი
- Абортивный — სააბორტო
- Авиация — ავიაცია
- Авиатор — ავიატორი
- Авиационный — საავიაციო
- Авария — ავარია
- Аварийный — საავარიო
- Автомобиль — ავტომობილი (შენ.: უვარგისია ტენნიკური ლექსიკონის „თვითმავალი“ და „მავალი“)
- Автономия — ავტონომია
- Автономный — ავტონომიური
- Автор — ავტორი, აქსონი
- Авторский — საავტორო, საავტოსონო
- Агент — აგენტი
- Агентский — აგენტური; სააგენტო
- Агентство — აგენტობა, (ხელობა); სააგენტო (დაწესებულება)
- Агентура — აგენტურა
- Агентурный — სააგენტურო, აგენტური
- Адат — ადათი
- Адатский — ადათური, საადათო
- Адвокат — (ადვოკატი), ვეპილი
- Адвокатский — (საადვოკატო); სავეპილო, ვეპილური
- Адвокатство — ადვოკატობა, ვეპილობა
- Адвокатура — ადვოკატურა
- Администрация — ადმინისტრაცია
- Административный — საადმინისტრაციო ანუ ადმინისტრაციული (მაგრამ არა „ადმინისტრა-ტი-ული“)
- Администратор — ადმინისტრატორი
- Администрация над должником — ადმინისტრაცია მოვალეზედ ანუ მოვალისათვის
- Администрация по торговым делам — ადმინისტრაცია სავაჭრო საქმეებზედ ანუ საქმეათვის
- Адрес — ადრესი, მისამართი
- Адресант — ადრესანტი
- Адресат — ადრესატი
- Адресный — საადრესო, სამისამართო
- Адресовать — მიმართვა
- Агитация — აგიტაცია
- Агитатор — აგიტატორი



Агитационный — აგიტაციური, სააგიტაციო (მაგრამ არა „აგიტაციონური“)
 Азарт — (აზარტი), ყომარბაზობა
 Азартный — (აზარტული), ყომარბაზული
 А к т — აქტი, სიგელი, წიგნი (უვარგისია ტექნიკური ლექსიკონის „ქმანი“)
 Актовый — სააქტო, სასიგელო
 Актив — აქტივი
 Активный — აქტიური, სააქტიუო
 Активность — აქტივობა
 Актуальность — აქტუალობა, თანადროულობა
 Актуальный — აქტუალი, სამდღეო, თანადროული
 Акушер — აკუშერი, მეანი, დედათ-მოურავი
 Акушерка — ბებია, მეანი, ყრმის ამქმელი, დედათ მოურავი
 Акцент — აქცენტი
 Акцентант, акцентатор — აქცენტანტი, აქცენტატორი
 Акцентация, акцепция, акцентование — აქცენტაცია, აქცენტაცია, აქცენტპმნილობა
 Акцептованный — აქცენტპმნილი
 Автомущество — ავტოქონება
 Акцессорный — აქცესორული, სააქცესორო
 Акцессионный — აქცესიური, სააქცესიო
 Акциз — აქციზი
 Акцизный — სააქციზო
 Акция — აქცია
 Акционер — აქციონერი
 Акционерный — სააქციო (და არა „აქციონერული“ ან „სააქციონერო“)
 Алиби — ალიბი
 Алименты — ალიმენტო
 Алиментный, алиментарный — ალიმენტური, საალიმენტო
 Алфавит — (ალფაბეტი), ანბანი
 Алфавитный — (ალფაბეტური, საალფაბეტო), ანბანური, საანბანო
 Альтернатива (ალტერნატივი), არჩევანი
 Альтернативный — (ალტერნატივური), საარჩევანო (უვარგისად მიგვაჩნია „საორთავანერო“)
 Амбар — ამბარი, ბეღელი
 Амбарный — სამბარო, საბეღლო
 Амнистия — ამნისტია
 Аналогия — ანალოგია
 Аналогичный — ანალოგიური
 Аннулировать — გაბათილება
 Амортизация — ამორტიზაცია
 Амортизационный — სამამორტიზაციო
 Аппарат — აპარატი (და არა ტექნიკური ლექსიკონის „წყოსი“)
 Аппаратный — სააპარატო
 Апеллятор — აპელატორი

Апелляция — აპელაცია
 Апелляционный — სააპელაცო, აპელაციური
 Аптека — აფთიაქი
 Аптекарь, аптечный — სააფთიაქო
 Арбитр — არბიტრი
 Арбитраж — არბიტრაჟი
 Арбитражный — საარბიტრაჟო
 Аренда — არენდი, აჯარა
 Арендатор, арендар (იშგ.) — არენდატორი, იჯარადარი, მოიჯარე (და არა „მოიჯარადრე“, როგორც ხშირად ხმარობენ)
 Арендаторский — საარენდატორო, საიჯარადრო, სამოიჯარო
 Арендный — საიჯარო, საარენდო
 Арендовать, заарендовать — საარენდოთ ანუ საიჯაროთ აღება, დაიჯარება
 Арест — (არესტი), პატიმრობა, ტუსალობა
 Арестант — (არესტანტი), პატიმარი, ტუსალი
 Арестовать — დაპატიმრება, დატუსალება, პატიმარ-ყოფა; შეკვრა (ქონების)
 Арест имущества — ქონების შეკვრა
 Артель — არტელი
 Артельный — საარტელო
 Артельщик — მეარტელე
 Архив — არქივი, დავთარხანა
 Архивариус — არქივარიუსი, დავთარდარი
 Архивный — საარქივო, სადავთარხანო
 Архитектор — (არხიტექტორი), ხუროთმოძღვარი
 Архитектура — (არხიტექტურა), ხუროთმოძღვრება
 Архитектурный — (საარხიტექტორო) სახუროთმოძღვრო.
 Ассигнация — ასიგნაცია
 Ассигновать — გაბარათება
 Ассигновка — ბარათაული (მახანჯი ტერმინი „ასიგნობა“ უნდა გაიდევნოს)
 Ассигнационный — საასიგნაციო
 Аттестат — ატესტატი
 Аттестация — ატესტაცია
 Аттестовать — დამოწმება, დატესტობა ანუ მოწმობის მიცემა; წარდგენა
 Аудиенция — აუდიენცია
 Аудитория — აუდიტორია
 Аукцион — აუქციონი
 Аукционист — აუქციონისტი
 Аукционный — სააუქციონო
 Армия — (არმია), ლაშქარი
 Армейский — სალაშქრო, ლაშქრული
 Аффект — აფექტი
 Аффективный — აფექტური

3. ქავთარაძე.

პ რ ა კ ტ ი კ ო ს ი ს უ ნ ი შ ვ ნ ა ზ ი *).

შრომის კოდექსის ახალი მუხლი 93¹.

შრომის კან. კოდ. 93¹ მუხლი არ არის საუცხოათოთ შემუშავებული და მიღებული მასსაკმარისად დიდი წარსული აქვს. საკითხი ამ მუხლის შრომის კოდექსში შეტანის შესახებ გამხდარი იყო ფართე მასების და სათანადო ორგანიზაციების მსჯელობის საგნად რამდენიმე თვის განმავლობაში.

ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კო-

*) დისკუსიის წესით.

მიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს ამა წლის 30 იანვრის დადგენილებების გამოცემამდე, რომლის ძალით დამატებულ იქნა შრომის კოდექსი აღნიშნულ 93¹ მუხლით, შრომის დარგში აღმოცენებულ ყოველგვარ კონფლიქტისა და დავის აღდგრის დროს ხელმძღვანელობდენ სამოქალაქო კოდექსის 44 და 45 მუხ. ვაიფალისწინებულ ხანდაზმულობით და შრომის კოდექსში არ არსებობდა ცალკე მუხლი სარჩელის ხახაზმულობის შესახებ.

თუ თქვენ გქონდათ უფლება სარჩელის აღდგრისა, — ეხებოდა ეს სამსახურში აღდგენას, საკითხი, გაშვებულ

დღეების ჯილდოს, ზედმეტი ნამუშევარს გასამრჯელოს, თუ სხვა რაიმე პრეტენზიას, დაქირავებულ შრომის გამოყენების ნიადაგზე აღმოცენებულს, თქვენ სარგებლობდით საერთო სამქალაქო სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სამი წლის ხანდაზმულობით. შრომის ახალი მუხლი — 93¹ — კი სამი წლის ხანდაზმულობის ვადას გულისხმობს შრომის ყველა საქმეზე, გარდა იმ საქმეთა, რომელნიც დათხოვნილ მუშა-მოსამსახურეთა სამსახურში აღდგენის საკითხს ეხებიან ან და ზედმეტ ნამუშევრის ჯილდოს.

აღნიშნული 93¹ მუხლის შინაარსი შემდეგია: „ყველა იმ დავაზე, რომელიც აღმოცენდება დაქირავებულ შრომის გამოყენების ნიადაგზე, ვრცელდება საერთო სამოქალაქო სამი წლის ხანდაზმულობა. სარჩელის ხანდაზმულობა იმ საქმეთა შესახებ, რომელნიც ეხებიან თანამდებობაზე აღდგენას და ზედმეტ ნამუშევრის ჯილდოს, განისაზღვრება 6 თვის ვადით, სარჩელის წარმოშობის მომენტიდან“.

ამრიგად განისაზღვრება საქმეთა ორი კატეგორია. პირველ კატეგორიას ეკუთვნიან ის საქმენი, რომელნიც აღმოცენდებიან დაქირავებულ შრომის გამოყენების ნიადაგზე და შეეხებიან დათხოვნილ მუშა-მოსამსახურეთა თანამდებობაზე აღდგენას ანდა ზედმეტ ნამუშევრის ჯილდოს. ამ შემთხვევაში სარჩელის ხანდაზმულობა განსაზღვრულია 6 თვის ვადით, მეორე კატეგორიაში შედიან დანარჩენი შრომის საქმეები (მაგალითად: ჯამაგირის მიუკეცილობა, შევებულების კომპენსაცია, სალიკვიდაცია, სპეც ტანთსაცმელი და სხვა), რომელთა აღძვრის დროს ხანდაზმულობის ვადა განსაზღვრულია საერთო სამოქალაქო სამართლის კოდექსის გათვალისწინებული სამი წლით.

მთავარი მომენტი, რომელიც საფუძვლად დაედო სარჩელის ხანდაზმულობის შემცირებას 6 თვემდე იმ საქმეთა მიმართ, რომელნიც დათხოვნილ მუშა-მოსამსახურეთა თანამდებობაზე აღდგენასა და ზედმეტ ნამუშევრის ჯილდოს შეეხება, არის, ერთის მხრივ, სასტიკი ბრძოლა უსაფუძვლო და ზოგჯერ არაკეთილსინდისიერ სარჩელთა წინააღმდეგ და, მეორეს მხრივ ზედმეტ მუშაობის ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრა ჩვენი წარმოება-დაწესებულებებიდან.

იყო შემთხვევა და მრავალი შემთხვევა, როდესაც მუშას ან მოსამსახურეს სარჩელი თანამდებობაზე აღდგენის შესახებ შეჰქონდა შრომის სასამართლოში ან და მომრიგებელ საკონფლიქტო ორგანოში 2 წლის და 11 თვის ანდა 2 1/2 წლის გასვლის შემდეგ სამსახურიდან დათხოვნისა და ამ საქმეთა განხილვა აღნიშნულ ორგანოებში გრძელდებოდა თვეები, ზოჯერ წლებიც და თავდებოდა უნაყოფოდ. მაშასადამე, ერთის მხრივ, სასამართლოები და საკონფლიქტო ორგანოები, ისედაც დატვირთულია აუარებელი საქმეებით, კიდევ უფრო იტვირთებოდნენ, მეორეს მხრივ-კი, მთელი მუშაობა ამ საქმეთა განხილვისა იყო უნაყოფო და უსაფუძვლო.

ხანდაზმულობის შემცირება 6 თვემდე ამგვარ საქმეთა აღსაძრავად უსათუოდ შეამცირებს იმ არა სასურველ მოვლენებს, რომელთაც ადგილი ჰქონდაო წარსულში.

ცენტრში — მოსკოვში და აგრეთვე ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ზოგიერთ ცენტრშიაც იყო და არის რენდენცია ამგვარ საქმეების მიმართ სარჩელის ხანდაზმულობის კიდევ უფრო შემცირებისა, ერთ თვემდე დაყვანა შეიძლება ეს მოსაზრება არ იყოს მოკლებული საფუძვლს და მომავალში კვლავ დაგვიჩინდეს და საკითხის წაყენება

სასტიკი ბრძოლა უსაფუძვლო და არაკეთილსინდისიერ სარჩელთა წინააღმდეგ, ზედმეტი მუშაობის ძირიან ფესვიანად აღმოფხვრა ჩვენი წარმოება დაწესებულებებიდან. აი, საითკენ არის მიმართული შრომის კოდექსის ახალი მუხლი 93¹.

დღეს, როდესაც გამოცხადებულია სასტიკი ბრძოლა ბიუროკრატიზმთან და ფიცხელი მუშაობა სწარმოებს ჩვენს დაწესებულებებში საქმეთა წარმართვის გასამტკიცებლად

მტკიცე ნიადაგზე დასამყარებლად საჭიროა, რომ ეს ზომები ჩვენს მომრიგებელ-საკონფლიქტო ორგანოებში და შრომის სასამართლოებშიაც იქნეს განხორციელებული.

მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ არა ნაკლებ გვინტერესებს ზემოაღნიშნულ საკითხის მეორე მხარე. შრომის კოდექსის 93¹ მუხლის დამატებით ორი მეტად საყურადღებო საკითხი სდგება ჩვენს წინაშე და მოითხოვს მის სწორსა და სწრაფ განმარტებას.

პირველი საკითხი: ვრცელდება თუ არა 6 თვის ხანდაზმულობა იმ საქმეებზე, რომელნიც აღძრულნი იყვნენ სასამართლოში შრომის კოდექსის ამ მუხლის დამატებამდე? და მეორე: შეიძლება თუ არა ჩავსვავლოთ გამოსასვლელ დღეების კომპენსაცია ზედმეტ ნამუშევრად და გავავრცელოთ მათზე 6 თვის ხანდაზმულობა?

აი ორი საკითხი, რომლის შესახებ დღეს არსებობს აზრთა სხვადასხვაობა და მოითხოვს კომპეტენტურ ორგანოთა მხრივ ავტორიტეტულ აზრის გამოთქმას.

პირველი საკითხი, თუ არ ესკდები, პრაქტიკულად უკვე ვადასწყვიტა ტფილისის შრომის სასამართლომ და, ვფიქრობ, სრულიად სამართლიანადაც მან 6 თვის ხანდაზმულობის ვადა გაავრცელა იმ საქმეებზე, რომელნიც აღძრულნი იყვნენ სასამართლოში და არ დაბოლოებულან წარმოებით ან ვადის შემოღებამდე.

მე მოკლებული ვიყავი საშუალებას გავცნობოდი იმ მოსაზრებებს, რომელზედაც შრომის სასამართლომ დაამყარა თავისი დადგენილება. მაგრამ, ვფიქრობ, რომ მთავარი მოსაზრება, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს ასეთ საქმეებზე 6 თვის ხანდაზმულობის გავრცელებას — არის ის გარემოება, რომ ეს საქმეები არ არიან დაბოლოებულნი წარმოებით სასამართლოში ან საკონფლიქტო ორგანოს პირველ ინსტანციაში. შეიძლება, შრომის კოდექსის 93¹ მუხლის თანახმად, თქვენ არ მოსპოთ ის საქმე, რომელიც სასამართლოს ან საკონფლიქტო ორგანოს პირველ ინსტანციის მიერ უკვე გადაწყვეტილია, რადგან ეს საქმე უკვე იყო სასამართლოს მსჯელობის საგნად და მან მიიღო დაბოლოება, ზემოაღნიშნულ ხანდაზმულობის განსაზღვრამდე. სულ სხვაა იმ საქმის ბედი, რომელიც ჯერ კიდევ არ გადაწყვეტილია ინსტანციაში. ამგვარი საქმეები არაფრით არ განსხვავდებიან იმ საქმეებიდან, რომელნიც აღძრულია სასამართლოში — 6 თვის ხანდაზმულობის ვადის შემოღების შემდეგ, რადგან არც პირველი და არც მეორე არ განუხილავს სასამართლოს და მათ შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება არ გამოუტანია

მეორე საკითხი, რომელიც გამოსასვლელ დღეების კომპენსაციას შეეხება, რომლის მიხნევა უნდათ ზედმეტ ნამუშევრად და ასეთ საქმეებზე 6 თვის ხანდაზმულობის გავრცელება, მეტად სადავო საკითხია და მისი ნაჩქარევად გადაწყვეტა შეუძლებელია.

მართალია გამოსასვლელ დღეების მუშაობაში არის ელემენტი ზედმეტი ნამუშევრისა, მაგრამ ყოვლად შეუძლებელია აიიაროთ იგი მაოლოდ ზედმეტ ნამუშევრად. ზედმეტი მუშაობა, საზოგადოთ, სწარმოებს ჩვეულებრივ სამუშაო დღეს, კანონით განსაზღვრულ სამუშაოსათვის შემდეგ. გამოსასვლელ დღეს მუშა-მოსამსახურე განთავისუფლებულ უნდა იქნეს მუშაობიდან და თუ იგი მუშაობს უნდა მიეცეს სათანადო კომპენსაცია. მართალია იგი გამოსასვლელ დღეს მუშაობს, რომელსაც, ერთის მხრივ, აქვს ზედმეტი ნამუშევრის ხასიათი, მაგრამ ამასთანავე უს მუშაობა არსებითად განსხვავდება ჩვეულებრივ ზედმეტ მუშაობიდან. ამ შემთხვევაში შრომელი არ სარგებლობს კანონით გათვალისწინებულ დასაგნებით. არის, მაშასადამე, განსხვავება ჩვეულებრივ ზედმეტ ნამუშევრისა და გამოსასვლელ დღეების მუშაობის შორის და თუ ასეთი არსებითი განსხვავება არსებობს მათ შორის ცხადია, რომ შეუძლებელია გავრცელებულ იქნეს იმ საქმეებზე

ზე, რომელნიც გამოსასვლელ დღეების კომპენსაციას ეხებოდა 6 თვის ხანდაზმულობის ვადა. ამგვარ საქმეებზე უნდა გავარცხლდეს შრომის კოდექსის 93-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადა — სამი წელიწადი.

ასე თუ ისე ზემოაღნიშნული საკითხები — პირველიც და მეორეც — მეტად საინტერესო საკითხებია, რომელთა შესახებ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა და, ყოველგვარი მოსალოდნელი შეცდომების თავიდან ასაცილებლად, საჭიროა, რომ ჩვენმა კომპეტენტურ ორგანოებმა — უზენაეს სასამართლომ და შრომის სახალხო კომისარიატმა თავის დროზე გამოსთქვენ ავტორიტეტული აზრი ამ საკითხთა შესახებ.

კ. აბაშიძე.

კომლის გაყრის გარეშე.

ერთ-ერთ საადგილმამულო კოლეგიაში აღიძრა ასეთი საქმე. ორმა ღრმად მოხუცებულმა რომელთაგან ერთია 80 წ. და მეორე — 72 წლისა, მოითხოვა ეს კომლის გაყრა და თავიანთი წილის ოჯახიდან გატანა. ეს ოჯახი არის საშუალო შეძლებისა. მის ქონებას შეადგენს ერთი ჩარეკი ვენახი, სახლი, ერთი ურმის საქონელი და 50—60 სული ცხვარი. ოჯახში სულ შვიდი სულია და ხსენებული ორი მოხუცი მოითხოვს, რომ მათ გამოეყოთ ოჯახის ქონებიდან ორი მეზვიდელი ნაწილი. სასამართლომ განიხილა სარჩელი მოხუცებისა და გაიოიტანა ასეთი გადაწყვეტილება: მოხუცები ცნობილ იქმნენ ოჯახის წევრებად და ოჯახის ქონებიდან გამოეყოთ ორი მეზვიდელი ნაწილი.

იბადება საკითხი პრინციპიალურის ხასიათისა: სწორია ასეთი გადაწყვეტილება, თუ არა?

უდავოა, რომ ეს მოხუცები ოჯახის წევრნი არიან; უდავოა აგრეთვე ისიც, რომ მათ ისეთივე უფლება აქვთ საერთო ოჯახის ყოველ ქონებაზე, როგორც დანარჩენ წევრებს, მაგრამ საქმე ამაში როდია.

მუშურ-გლეხური მთავრობის პოლიტიკა მიმართულია იმ ხაზით, რომ გაამაგროს ღარიბი და საშუალო საგლეხო მეურნეობა და არა დაასუსტოს და მასთან იგი. ჩვენი კანონების მთავარი აზრი იმაშია, რომ არ დაქუც-მაცდეს, არ განადგურდეს ღარიბი გლეხის მეურნეობა.

აი თუ ასეთი შეხედულებიდან გამოვალთ, თუ ასეთი საზომით მივუღებთ ჩვენ მიერ მოყვანილ შემთხვევას, ვიტყვი, რომ აღებულ შემთხვევაში საადგილმამულო კოლეგიის გადაწყვეტილება სწორი არ არის. ცხადია, რომ ორი ღრმად მოხუცებული ოჯახის ქონების განაწილების და დაქუცმაცების შემდეგ ვერ შექმნიან საკუთარ მეურნეობას. მაშასადამე საბოლოოდ დავარდვევთ, დავაჩქევთ ერთს არსებულ საგლეხო მეურნეობას და ვერ შევქმნით ვერც ერთს ახალს. აი ასეთი შედეგი საზარალოა სახელმწიფოსთვის და სრულიად არ შეეფუება საბჭოთა ხელისუფლების და კანონმდებლობის პოლიტიკას. და ჩვენც ამიტომ ვამბობთ, რომ საკითხის ისეთი გადაჭრა, როგორც მიიღო საადგილმამულო კოლეგიამ, დაუშვებელია.

მართლაც და გაყავით შვიდათ ოთხი ხარი და 60 ცხვარი, თუნდა სახლიც და ერთი ჩარეკი ვენახიც, თუნდა გაყავით სამად, განა დარჩება და საშუალება ან შესაძლებლობა სამი მეურნეობის არსებობისა? რასაკვირველია, არა. დღეს-დღეობით კი გაუყრელად და დაუქუცმაცებლად ეს ოჯახი არსებობს: აქვს ნახნავი, ნათესი, პური, შეშა, ფიჩხი, მატყლი, ყვრილი. ერთის სიტყვით არის საშუალო გლეხის ოჯახი, არსებობს საშუალო მეურნეობა. მოიყვანთ სისრულეში საადგილმამულო კოლეგიის გადაწყვეტილებას და თქვენ მოსპობთ ამ ოჯახს! და განა ეს არის ჩვენი კანონმდებლობის მიზანი?

საბჭოთა სამართლის პოლიტიკა კომლის გაყრის საქმეში იქნება გატარებული, თუ კომლის გაყრა სდება ამ პირობაში, როდესაც განაყოფს შეუძლია აწარმოოს დამოუკიდებელი მეურნეობა. მაგრამ ეს ხომ ალემატება 80 წლის მოხუცის შესაძლებლობას!

მაშასადამე კომლის გაყრა, და აგრეთვე საერთო ქონების განაწილება ისეთ შემთხვევაში, როგორც ჩვენს მაგალითში მოიკემოლია. ყოველად დაუშვებელია. დაუშვებელია არამედ მარტო იმიტომ. რომ მიწის სიმკირე ხელს უშლის, არა, იმიტომაც, რომ სიმკირეა მკვდარი და ცოცხალი სამეურნეო ინვენტარისაც.

მაშასადამე შვიცდარი იქნება ის შეხედულება, რომელშიც გატარებულია შემდეგი აზრი: თუმიცა მიწა არ შეიძლება გაიყოს, მაგრამ დაბრკოლება არ უნდა იყოს კომლის ქონების გაყოფისათვის გლეხის მეურნეობას, მის მთლიანობას, მის სიცოცხლის უნარიანობას შეადგენს არა მარტო მიწა, არამედ და იქნება უმთავრესადაც სამეურნეო ინვენტარი. და აი სწორედ ეს ინვენტარიც საშუალო გლეხისა არგაიყოფა, თუ ამ გაყოფას მოჰყვება ოჯახის მოსპობა.

აქ თავისთავად იბადება საკითხი: მაშ რა გუყით. ორ მოხუცს, ჩვენს მაგალითში იოყვანილს? ხომ იერ დაგხორავთ შიმშილით? ხომ ძალას იერ დავატანთ, რომ იცხოვრონ იმ ოჯახში, რომელშიაც მათ ამა თუ იმ მიზეზებით ცხოვრება აღარა სურთ და ან არ შეუძლიანთ.

გამოსავალი უნდა იყოს ასეთი. კატეგორიულად უნდა უარი ეთქვას გაყრაზე და ოჯახის ქონებიდან წილის გამოყოფაზე და მიეცეთ წინადადება, რომ მათ მოითხოვონ ალიმენტების სახით საზრდო ოჯახიდან. ამის მიცემას ოჯახი შესძლებს. ვინაიდან იგი ოჯახი ხნავს, სთესავს, პატარა ვენახიცა აქვს, ცოტა ცხვარიცა ჰყავს. იგი შესძლებს მისცეს მოხუცებს საზრდო ნატურით და ამ სახით აცხოვროს ისინიც და არც თვითონ დაიღუბოს, როგორც ოჯახი, როგორც მეურნეობა.

ჩემი დასკვნის გამართლება მოვიხილომე რუსეთის პრაქტიკიდან და მასალის ძებნაში წავაწყდი პროკურორ დომბროვსკის მოხსენებას. რომელიც მოთავსებულია 1927 წლის „საბჭოთა იუსტიციის ყოველკვირეულის“ მე 37 ნომერში, გვ. 1156. იგი აქ სხვათაშორის ამბობს: „არის ხოლმე შემთხვევები, როდესაც მოხუცებს აღარა სურთ საერთო ოჯახში ცხოვრება. მათ არ შეუძლიანთ აწარმოონ დამოუკიდებელი მეურნეობა. სხვა წევრების ერთად ცხოვრებაც შეუძლებელია. მეურნეობის განაწილება-კი შეუძლებელია. მოხუცები დაიხორციებიან. არსიბული მეურნეობაც დაიღუპება. რა გქნათ ასეთ შემთხვევაში? კანონის ძალით ასეთ შემთხვევაში არ არის დასაშვები არც კომლის გაყრა, არც ქონების გამოყოფა. შრომის უნარ მოკლებულ ოჯახის წევრებს (მოხუცებს) უნდა მიეცეთ ცალკე საცხოვრებელი კუთხე (ბინა) და საზრდო (харчи) და აგრეთვე ფულადი დახმარება ოჯახიდან, რამდენიც საჭიროა მათ საცხოვრებლად“. შემდეგ ავტორი კატეგორიულად აცხადებს: „Теперь закон раздела двора в таких случаях не допускает. Старикам обеспечивается по закону угол и харчи. Но хозяйство делиться не должно“.

ჩვენ სავსებით გიმხრობით ამ დასკვნას და მივავჩინა იგი კანონიერად და მიზანშეწონილად.

მხიელი ნასიძე.

სამოქ. სპაროც. კოლ. მე-50-ე მუხლის შეცვლის მიზანშეწონილობა.

რომ სასამართლოში საქმის გაჭინაურების საშუალებას თვით პროკესი იძლევა, ეს უდავოდ უნდა იქნეს ცნობილი, ამიტომ დღის წესრიგში სდგას მისი გამარტივება შესაძლებლობის ფარგლებში. მე შევეხები სამოქ.

საპრ. კოდ. მხოლოდ 50 მუხლს და განვიხილოვ, რა ზიანი მოაქვს მას და რა სარგებლობის მოტანა შეუძლია მის შეცვლას. ეს მუხლი ლაპარაკობს სასამართლოში პატივსადებ მიზეზის გარეშე გამოუცხადებელი მოწმის წინააღმდეგ ღონისძიების მიღებაზე. პირველად გამოუცხადებელ მოწმეს სასამართლო აჯარიმებს 3—10 მან. დე, ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით, მეორეჯერ ერთიორად და სასამართლოს ენიჭება უფლება დაადგინოს მისი იძულებითი მოყვანა. მხარემ ეს იცის, განსაკუთრებით იმან, ვისთვისაც ამა თუ იმ მოსაზრებით ხელსაყრელია საქმის დაგვიანებით დაბოლოება. ამით ხშირად სარგებლობს მოპასუხე შემდეგნაირად: ის უსაფუძლო შეხვედრით სარჩელს წარმოადგენს იმ მიზნით, რომ საქმე გააჭიანუროს, ისე ჩამოაყალიბებს ამ სარჩელს, რომ ეს სამოქ. საპრ. კოდექსის 81მ-ის მოთხოვნასთან წინააღმდეგობაში არ იქნება.

პირველ სხდომაზე მოსამართლე შეგებებული სარჩელის დამადასტურებელ გარემოებათა გამოსარკვევად დაასახელებს ისეთ მოწმეებს, რომელთა გამოუცხადებლობას თვითონვე ხელს შეუწყობს. მოწმეების გამოუცხადებლობა გამოიწვევს საქმის გადადებას. მეორე სხდომაზე იგივე განმეორდება; მოწმეები დაჯარიმებულ იქნებიან ორმაგად და სასამართლოს აქვს საშუალება უზრუნველჰყოს მხოლოდ მეოთხე სხდომაზე მოწმეთა გამოცხადება მათი იძულებითი მოყვანით. მოხსენებულ შემთხვევებში საქმის გადადების რიცხვის შემცირებას ვერაფერი უშლის გარდა თვით პროცესის გამარტივებისა. პროცესის 8 მუხლი, რომელიც ამბობს, რომ სასამართლომ უნდა აღკვეთოს ყოველივე ბოროტი ხერხი, რასაც მიზნად აქვს საქმის გაჭიანურება, აქ ვერ დაგვეხმარება. იგი გამოსადეგია მაშინ, როცა მხარე პროცესით მინიჭებულ უფლებებს აშკარად გადალახავს, ამრიგად მხარე, ვისთვისაც ეს ხელსაყრელია, არსებულ პროცესის საშუალებით მოახერხებს საქმის სამჯერ გადადებას და დანიშნულ განსახილველად მეოთხეჯერ, რასაც მოჰყვება რამოდენიმეჯერ საქმის შესწავლისა და ახალი უწყებების წერის აუცილებლობა და მაშასადამე გაჭიანურებაც. მაზანწმონილი იქნება მოასენებულ მუხლის იქ სახით შეცვლა, რომ მოწმე პატივსადები მიზეზების გარეშე გამოუცხადებლობისათვის დაჯარიმებულ უნდა იქნეს 3—10 მან. და სასამართლოს მიენიჭოს უფლება მისი მეორედ გამოცხადება უზრუნველჰყოს იძულებითი მოყვანით. ხსენებული მუხლის ასეთი რედაქცია მხარეს დაუკარგავს საქმის გაჭიანურების სურვილს, ამის გამო საგრძნობლად შემცირდება უსაფუძვლო შუამდგომლობათა აღძვრა და შესაძლებელი იქნება საქმის დაბოლოება მეორე სხდომაზე. ფიქრი კი იმაზე, რომ მოსამართლე ბოროტად გამოიყენებს ამ უფლებებს, უსაფუძვლოა. სასამართლო ამ ღონისძიებას მამართავს უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც ამას თვით საქმის ინტერესი მოითხოვს. ასეთი მდგომარეობის განმტკიცება სასურველ ნაყოფს მოიტანს.

რაკი მხარეს ეცოდინება, რომ მოწმეს იძულებით მოიყვანებენ, ალარ მიიღებს ზომებს მის გამოუცხადებლობისათვის. აღნიშნულ უფლების სასამართლოზე ცნობას ექნება ვამაფრთხილებელი მნიშვნელობა, არამარტო მაშინ, როცა მხარე მოწადინებულია გააჭიანუროს საქმე, არამედ მაშინაც, როცა მხარეს თვითონ სურს მისი ადრე გათავება.

ბ. მოიხრავე შვილი.

ქ რ ო ნ ი კ ა.

ლექციები სასამართლოს მუშაკებისათვის.

იუსტიციის სახალხო კომისარის ამხ. ვარძიელის განკარგულებით სასამართლოს მმართველობის განყოფილებასთან მარტის შუა რიცხვებიდან იწარმოებს ლექციების კითხვა ქ. ტფილისში ძყოფ იუსტიციის მუშაკთა კვალიფიკაციის ასაწევად. ლექციები წაკითხული იქნება საღამოობით 6—8 საათამდე საძი თვის განმავლობაში. ლექტორებად მოწვეულნი არიან გამოჩენილი ძალები იუსტიციის სახალხო კომისარიატიდან და სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. წაკითხული იქნება შემდეგი საგნები: სამართლის ზოგადი ცნებანი მარქსისტული თვალსაზრისით, საქ., ა. კ., რუსეთის და საკავშირო ს. ს. რ. კონსტიტუცია, საბჭოთა სამართლის დედაარსი და ამოცანები, სისხლის სამართალი, სისხლის სამართლის პროცესი, სამოქალაქო სამართალი, სამოქალაქო სამართლის პროცესი, მრომის სამართალი, მიწის სამართალი, საბინაო სამართალი, სათამაშუქო დებულება და საოჯახო და ქორწინების კანონთა კოდექსი.

ახალი სისხლის სამართლის კოდექსი.

იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა სისხლის სამართლის კოდექსი 1928 წ. რედაქციით.

დერნბურგი ქართულ ენაზე.

დასრულდა ბეჭდვა და ამ დღეებში გამოვა დერნბურგის „პანდექტები“ ნაწ. 1 თარგმანი კ. ჯაფარიძისა, ლ. ანდრონიკაშვილის რედაქციით, გამოცემა ტფ. სახელმწ. უნივერსიტეტისა.

ცვლილებები სამოქ. სამართლის და სამოქ. საპროცესო კოდექსებში.

საკანონმდებლო განყოფილებაში ამ ჟამად მუშავდება პროექტი, რომელიც ითვალისწინებს მთელი რაგი ცვლილებების და დამატებების შეტანას სამოქალაქო სამართლის და სამოქალაქო საპროცესო კოდექსებში.

შეცდომების გასწორება.

„საბჭოთა სამართალი“-ს № 5-ში გამოქვეყნებული იყო სანოტარო ორგანოთათვის სახელმძღვანელო ცირკულარი № 6, რომელშიაც დაშვებულია შემდეგი შეცდომები:

- 1) ცირკულარის მე-5 პუნქტის (გვერდი 130) მეორე სტრიქონში დაბეჭდილია „არჩევს“ უნდა იყოს „არღვივს.“
- 2) მე-6 პუნქტის (გვერდი 131) მეათე სტრიქონის ბოლოს დაბეჭდილია „არაწარსული წ“, უნდა იყოს „არამედ წარსულ წლის“;
- და 3) ცირკულარის „ბ“ პუნქტის (გვერდი 131) მეოთხე სტრიქონში დაბეჭდილია „გირავნობის მოსპობის“ და უნდა იყოს „გირავნობის მოწმობის.“

ცირკულარი 8.

ჟველა სახალხო სასამართლო.

ასლი: სამაზრო სასამართლოებს, უზენაეს სასამართლოს და აფხაზეთის, აჭარის და სამხრეთ-ოსეთის იუსტიციის სახალხო კომისარიატებს.

1926 წლის თებერვლის 10-ს 36 ნომრით სრ საქ. საბჭ. ცაკმა გამოსცა და დაუზგავნა ყველა სახელმწიფო დაწესებულებას და საწარმოს ცირკულარი, რომელიც უკრძალავდა მათ. სახალხო მსაჯულებად გაწვეული თანამშრომლების განთავისუფლებას წმინდა საუწყებო მოსაზრებით სასამართლოში გამოცხადებისაგან და გააფრთხილა, რომ ამისათვის ისინი პასუხს აგებენ დისციპლინარული წესით (1926 წ. თებერვლის 17-ს № 38 „კოლუნსტი“, ს. ს. ს. რ. 1926 წ. № 1 კან. კრებ., გვ. 96). მიუხედავად ამისა სახელმწიფო დაწესებულებანი მაინც ანთავისუფლებენ თავის თანამშრომელთ სასამართლოებში სახალხო მსაჯულებად გამოცხადებისაგან იმ მოსაზრებით, რომ ამ გამოცხადებით ილახება დაწესებულებათა ინტერესები. ეს გარემოება ხელს უშლის სასამართლოების ნორმალურ მუშაობას და იწვევს საქმის დაუშვებელ გაჭიანურებას და მშრომელთა უკმაყოფილებას. ვინაიდან სახალხო მსაჯულებად გამოცხადებით, დასაბუთებული ზემოთყვანილი მიზეზით, არ შეიძლება კანონიერად ჩაითვალოს, იუსტიციის სახალხო კომისარიატი მართლმსაჯულების და წმინდა ინტერესების დაცვისათვის და სასამართლოში სახალხო მსაჯულებად გამოწვეულ სახელმწიფო დაწესებულებების თუ საწარმოს თანამშრომელთა გამოცხადებით შექმნილ გაჭიანურების აღმოფხვრევად, წინადადებას გაძლევი მტკიცეთ შეუფარდოთ სისხლ. სამ. კოდ. 207, მუხლით გათვალისწინებული სოც. დაცვის ღონისძიება ისეთ პირთ, ვინც საუწყებო მოსაზრებით არ გამოცხადდება სასამართლოში სახალხო მსაჯულებად.

იუსტიციის სახალხო კომისარი ი. ვარძიელი.

სასამართლო მმართველობის განყ. გამგე სიკინავა. 1928 წ. 11 თებერვალი.

ამონაწერი

ს. ს. რ. უზენაეს სასამართლო კლენუმის სხდომის ოქმიდან № 2. 1 თებერვალი 1928 წ.

ქ. ქუთაისის მუდმივი სესიის მომართვა, რომ განმარტებულ იქნეს, თუ ვინ უნდა იქნეს საქმეზე გამოწვეული მოპასუხეთ ისეთ შემთხვევაში, როცა უმემკვიდროდ დარჩენილ ქონების წინააღმდეგ აღძრულია სარჩელი და მას უნდა გადახდეს ვალი, ხოლო ქონება კანონის მიერ გათვალისწინებულ წესების დაცვით არ არის გადასული სათანადო ორგანოების განკარგულებაში. მომხს. ირ. სურგულაძე.

სამ. სამ. კოდ. 432 მუხლის მიხედვით, უკეთეს შემკვიდრენი არ გამოცხადდებიან ექსპი თვის განმავლობაში მის შემდეგ, რაც სამკვიდრო ქონების დასაცავად ღონისძიება იქნა მიღებული, ან და როდესაც შემკვიდრენი უარს იტყვიან დამკვიდრებაზე, ქონება ბეითალობად ჩაითვლება და სათანადო სახელმწიფო ორგანოს განკარგულებაში გადაეცემა. რომ აქედან ის დასკვნა გამოდინარეობს, რომ საბჭოთა კანონმდებლობის თვალსაზრისით არ შეიძლება შეიქმნეს ისეთი მდგომარეობა, როდესაც ამა თუ იმ ქონებამ, მისი მესაკუთრის გარდაცვალების შემდგომ, უპატრონო ქონების სახე მიიღოს, ვინაიდან იგი აუცილებლად უნდა გადავიდეს ან იმ პირების ხელში, რომელნიც სამ. სამ. კოდ. 418 მუხლში არ არის აღნიშნული, ან და სახელმწიფოს ხელში, რომ აღნიშნულისაგან გასაგებია ისიც, რომ საბჭოთა კანონმდებლობის დანიშნვის ინსტიტუტი სამკვიდროს დამტოვების კრედიტორების წინაშე პასუხის საგებლად და რომ ყოველ სარჩელზე, რომელიც სამკვიდროს დამტოვების კრედიტორების მიერ იქნება აღძრული, მოპასუხეთ გამოწვეული უნდა იქნეს ან მემკვიდრე, რომელიც სამკვიდროს ჩაიბარებს, ან სახელმწიფოს სათანადო ორგანო, რომლის ხელში ბეითალობად გადავა; ასეთი დასკვნა თავის და თავად გამოდინარეობს სამ. სამ. კოდ. 433 და სამ. სამ. კოდ. 195 და 198 მუხლებიდან; რომ იმ შემთხვევაში, როდესაც სარჩელი აღძრული იქნება სამკვიდროს დამტოვების კრედიტორისაგან, სამკვიდროს ქონება კი გადასული არ არის არც 418 მუხლის ჩამოთვლილ პირებზე, ვ. ი. როდესაც გასული არ არის სამ. სამ. კოდ. 432 მუხ. აღნიშნული ვადა, საქმის არსებითად განხილვა უნდა შეჩერებულ იქნეს აღნიშნულ ვადის გასვლამდე, რის შემდეგ ქონების ბეითალობის შემთხვევისათვის მოპასუხეთ უნდა გამოწვეულ იქნეს სათანადო სახელმწიფო ორგანო, — დაადგინა: განმარტოს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც უმემკვიდრეთ ქონების წინააღმდეგ, რომელიც არ

არის გადასული სათანადო სახელმწიფო ორგანოს განკარგულებაში, აღძრული იქნება სარჩელი, საქმის არსებითად განხილვა უნდა შეჩერებულ იქნეს სამ. სამ. კოდ. 432 მუხლში აღნიშნულ ვადის გასვლამდე, რომ შემდგომ მოპასუხეთ უნდა გამოწვეულ იქნეს სათანადო სახელმწიფო ორგანო.

ქ. ქუთაისის მუდმივი სესიის მომართვა, რომ განმარტებულ იქნეს, თუ რომელი კანონის მიხედვით უნდა მოგვარდეს დავასოფლად მოვაჭრეთა შორის ქონების მიწის და შენობის გაყოფის შესახებ. მომხს. ირ. სურგულაძე.

უზენაეს სასამართლოს სამოქალაქო საკასაციო საკრებულოს შეკითხვა — გარკვევდა სამ. სამ. კოდექსი თუ მიწის კოდექსი სოფლად ვაჭრეთა შორის ქონების, მიწის და შენობების გაყოფის საქმეზე, ორ საკითხთა შეიძლება იქნეს გაყოფილი: ა) საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი კოდექსის ნორმებით უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ სოფლად ვაჭრეთა შორის ქონების გაყოფის დროს და ბ) საკითხი იმის შესახებ, თუ რომელ სასამართლოს — სახალხო სასამართლოს თუ საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიას ექვემდებარება გაყოფის გამო აღმოცენებულ დავის განხილვა. პირველ საკითხის შესახებ მომქმედი კანონმდებლობიდან ის დასკვნა გამოდინარეობს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც იყოფა კომლი, სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს მიწის კოდექსით და არა სამოქ. სამ. კოდექსით; ამ მხრით მნიშვნელობა არა აქვს იმ გარემოებას რომ კომლის წევრები კომლის მეურნეობის გარდა ვაჭრობას ეწევიან და ასეთ შემთხვევაშიდაც ასეთი კომლის წევრთა გაყოფის დროს სახელმძღვანელოდ ასაღებია მიწის კოდექსის სათანადო მუხლები. მაგრამ შესაძლებელია არის (იხ. მიწ. კოდ. 82 მ), რომ სოფლად მიწა (საეკლავ მიწა) და შენობები ეკუთვნოდეს ისეთ პირებსაც, რომელთაც მიწის ნორმის მიღების უფლება არა აქვთ (მაგ. ვაჭრებს), რომელნიც კომლს არ წარმოადგენენ. ასეთი პირების შორის ქონების გაყოფის შესახებ აღმოცენებულ დავის განხილვისას სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს სამოქალაქო სამართლის და არა მიწის კოდექსის ნორმებით. რომ აღნიშნულიდან ირკვევა ისიც, თუ რა სახის პასუხი უნდა გავცეს მეორე ზვეთ დაყენებულ საკითხზე, სახელდობრ: თუ ის პირები, რომელთა შორის წარმოებს დავა ქონების გაყოფის შესახებ, კომლს წარმოადგენენ და საკითხი სდგას კომლის ქონების გაყოფის შესახებ, დავა განსახილველად ექვემდებარება საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიას, იმ შემთხვევაში კი, როდესაც დავა ენება სოფლად ქონების და მიწის გაყოფას ისეთ პირებს შორის, რომელნიც კომლს არ წარმოადგენენ, დავა განსახილველად ექვემდებარება სახალხო სასამართლოს.

უზენაეს სასამართლოს კლენუმის ახსნა-განმარტება

მიწის კოდექსის 13, 14, 15, 17, 19, 23, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 39, 40, 41, 42, 43, 45, 46, 47, 48, 49, 50, 51, 57 და 58 მუხლებისა. *)

თავი II.

კომლის გაყრა.

მუხ. 47. კომლის გაყოფა ნიშნავს იმას, რომ მისი მიწები და საერთო ქონება განაწილდება კომლის შემადგენელ ოჯახებსა ან წევრთა შორის, განურჩევლად სქესისა და წლოვანებისა, ცალკე სარგებლობისათვის.

1. კომლის გაყოფა არის კომლის საერთო სარგებლობაში მყოფი მიწების და ქონების განაწილება განაყოფთა შორის ცალკე სარგებლობისათვის, ცალკე მეურნეობის შესაქმნელად. ამიტომ კომლის წევრთა შორის მიწებისა და ქონების განაწილება — კომლის ფარგლებშივე სასარგებლოდ — არ იქნება კომლის გაყოფა. აგრეთვე არსებითად კომლის გაყრა არა აქვს ადგილი იმ შემთხვევაში, როცა კომლის მიწების გაყოფა შეუძლებელია და გამოყოფის არ ეძლევა მიწა, ურთმისოდ სოფლის მეურნეობის წარმოება წარმოუდგენელია. ამ შემთხვევაში ექნება ადგილი მხოლოდ საერთო ქონების გაყოფას.

*) დასასრული. იხ. „საბჭოთა სამართალი“ № 3, 5.

3. მიწების განაწილების დროს არ შეიძლება მიწის ანგარიშში სხვა საგნის ჩათვლა. არ შეიძლება ერთ განაყოფს მიეცეს მიწა და ამის საბაზლით მიეცეს მეოთხე ფული ან სხვა რაიმე საგანი, რადგან მიწა გამოირჩეულია კერძო ბრუნვიდან და მისი გასხვისება აკრძალულია. ერთ განაყოფს შეიძლება დარჩეს მიწა მეტი, ვიდრე მეორეს, მაგრამ ეს ზედმეტი მიწა უნდა დარჩეს მას უსასყიდლოდ.

მუხ. 51. გაყოფა მხოლოდ ის ქონება, რაც საერთო სარგებლობაშია; კომლის ცალკე წევრების მოთხოვნით განაყოფ ქონებიდან გამოირიცხება ამა თუ იმ წევრის პირადი სარგებლობის ქონება, რომლის შესახებაც მოსარგებლედ დაამტკიცებს, რომ ქონება შეძენილია მისი პირადი ხარჯით და აგრეთვე ისეთი ქონება, რომელიც ითვლება, თანახმად ადგილობრივ ადათჩვეულებიდან, ცალკე პირთა კუთვნილებათ.

1. გარდა მიწებისა, რომლებსაც კომლი მუშაობს, მას აქვს შენობები, ცოცხალი და მკვდარი ინვენტარი, რაც აუცილებელ საჭიროებას შეადგენს მეურნეობის საწარმოებლად. ყველა ეს არის საერთო სარგებლობის ქონება და ეკუთვნის კომლის ყველა წევრებს ერთად.

2. მაგრამ კომლის წევრს შეიძლება ექნეს პირადი ქონებაც:

ა) კომლის წევრს შეუძლია შეიძინოს საკუთარი ფულით პირადი სარგებლობის ნივთები. ასეთ ქონებას, რომელიც არ ემარტობა კომლის მეურნეობას მთლად, ეწოდება პირადი სარგებლობის ქონება. პირადი სარგებლობის ქონება, რაც კომლის წევრის პირადი ხარჯით იქნება შეძენილი, შეადგენს კომლია წევრის საკუთრებას, მის პირად ქონებას.

ბ) კომლის წევრის პირად ქონებათ შეიძლება აღიარებული იქნეს ისეთი ქონებაც, რაც კომლის წევრის პირადი ხარჯით არ არის შეძენილი, თუ თანახმად ადგილობრივი ადათჩვეულებიდან ასეთი ქონება ითვლება ცალკე პირთა კუთვნილებად. მაგალითად, ტანისამოსი, კომლის ხარჯზედაც რომ იყოს ნაყიდი, შეადგენს მის პირად საკუთრებას, ვისთვისაც არის ნაყიდი.

გ) კომლის წევრის მიერ პირადი ხარჯით შეძენილი ქონება შეიძლება საერთო სარგებლობის საგნად გახდეს, რიუხედავით იმისა, რომ ის კომლის წევრის პირადი ხარჯით იყო შეძენილი. მაგალითად, კომლის წევრი წავიდა საშუალოთ, იშოვა ფული, ამ ფულით იყიდა ახალი გუთანი და მოიტანა ოჯახში; რა წამს ეს გუთანი გადავიდა კომლის სარგებლობაში, იგი შექნა კომლის საერთო ქონებათ.

დ) მაგრამ შესაძლებელია კომლის წევრის პირად ქონება შეადგენდეს მისი პირადი ხარჯით შეძენილი ქონება, რომელიც თუმცა თავის დანიშნულების მიხედვით არ წარმოადგენს პირად სარგებლობის ქონებას, მაგრამ კომლის საერთო სარგებლობაში არ გადასულა. მაგალითად, კომლის წევრმა გარეთ მუშაობის დროს შეიძინა ფული, იგი აპირებს კომლიდან გამოყოფას და თავის მომავალი მეურნეობისათვის იყიდა ხერხი ან სახნისი და შეინახა თავისთვის. ასეთი ქონება, რომელიც შეძენილია კომლის წევრის პირადი ხარჯით და კომლის სარგებლობაში არ გადასულა, შეადგენს კომლის წევრის პირად ქონებას.

3. კომლის გაყოფის დროს განაწილება მხოლოდ ის ქონება, რაც შეადგენს საერთო სარგებლობის ქონებას, ხოლო კომლის წევრების პირადი ქონება ცალკე წევრების მათხოვით განაყოფ ქონებიდან გამოირიცხება.

4. კომლის წევრის პირადი ქონება შესახებ მოქმედებს სამოქ. სამ. კოდ. საერთო წესები. კომლის წევრის გარდაცვალების შემდეგ გადადის გარდაცვალებულის მემკვიდრეებზე სამოქ. კოდ. 418 მ. თანახმად, მაგ. გარდაცვალებულის ძმას პოუფერო ერგება პირადი ქონებიდან, თუნდაც უკანასკნელი მასთან ერთ კომლით იყოს, შეიძლება კერძოება წილი პირადი ქონებიდან, თუნდაც იგი სხვა კომლი ითიცხებოდეს.

თავი V.

ლონისძიებანი მეურნეობის დაუტყვევების წინააღმდეგ.

მუხ. 57. უკეთეს კომლის ქონების გაყოფის დროს საქმე დავისა გამო რაიონის საადგილ-მამულო კოლეგიაში მივა და ეს უკანასკნელი გადასწყვეტს გამოყოფის მსურველის ფულით დაკმაყოფილებას, რაიონის საადგილ მამულო სასამართლო კოლეგიას არ შეუძლიან გამოყოფის მსურველის ფულით დაკმაყოფილება; რაიონის საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიას არ შეუძლიან გამოყოფის მსურველს გადასწყვეტოს კომლის საერთო ქონების ღირებულების ერთ მესამედზე მეტი; კომლიში დარჩენილთა მოთხოვნით განაყოფის დაკმაყოფილება შეიძლება ნაწილ-ნაწილ ხუთი წლის განმავლობაში უსარგებლოდ.

57 მუხლი შეიცავს ღონისძიებებს მეურნეობის დაუტყვევების წინააღმდეგ. ღონისძიებანი ამ მუხლის თანახმად შემდეგია: ა) ისეთ შემთხვევაში, როცა კომლს მიწის ხორმის ნაწევარზე მეტი არ აქვს და ასეთ კომლიდან მოისურვებს გამოყოფას ცალკე ოჯახი ან წევრი, რაიონის საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიას უფლებია ეთვლოს საერთო ქონება გამოაცხადოს და გამოყოფილ მიწა კოდ. 50 მუხ. დაწესებულ წესის წინააღმდეგ და გამოყოფის მსურველს მიუსაჯოს მხოლოდ ფული. საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგია ასეთ შემთხვევაში იღებს მხედველობაში მეურნეობის მდგომარეობას და საერთო ქონების რაოდენობას და ქონების ნაწილით გამოყოფაზე უარს ეტყვის იმის, როცა ეს კომლის მეურნეობას დაშლის. ბ) თანდენი სულისხმავანაც არ უნდა შესდგებოდეს გამოყოფის მსურველი ან კომლიში დარჩენილი ოჯახი, იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო სწყვეტს გამოყოფის მსურველის დაკმაყოფილებას ფულით, მას არ აქვს უფლება მიუსაჯოს გამოყოფის მსურველებს საერთო ქონების ღირებულების ერთ მესამედზე მეტი. მაგალითად, კომლიში რომ ორი სული რჩებოდეს, ხოლო კომლიდან ხუთი სული გადითდეს, კომლს ეტოვება მთელი ქონება და ხუთ სულს შეიძლება მიეცეს მხოლოდ ამ ქონების ღირებულების ერთი მესამედი; გ) რადგან მისჯილი თანხის გადახდას ერთხანად შეუძლია კომლიში დარჩენილები ჩააყენოს გაქირავებულ მდგომარეობაში, სასამართლო ვალდებულია, თუ ამას მოითხოვენ კომლიში დარჩენილები, მისჯილი თანხის გადახდა გაანაწილოს ხუთი წლით უსარგებლოდ.

მუხ. 58. გაყრა, რომელიც რეგისტრაციაში შეტანილი არ არის, კანონიერად არ ჩაითვლება. ასეთ შემთხვევაში კომლი, რომელმაც ფაქტურად დანაწილა თავისი მიწა და ქონება, მაგრამ ეს გაყოფა არ იქნება დამტკიცებული რეგისტრაციით, ჩაითვლება მიწათმოქმედის და საფონდო მიწების განაწილების დროს ერთ გაუყოფელ კომლად, ხოლო სახელმწიფო და სხვა გადასახადს, გამოხადებს და ბეგარას თვითიული განაყოფი ცალკე იხდის.

1. მიწის კოდ. 52 მუხ. თანახმად, როცა კომლის წევრები ურთიერთ შეთანხმებით იყობიან, ქალაქი სარეგისტრაციოდ უნდა წარედგინოს თემის აღმასრულებელ კომიტეტს, რომელსაც მიწა კოდ. 58 მუხ. ძალით აქვს უფლება არ გაატაროს რეგისტრაციონი გაყრა; თუ გაყრის, პირობები კანონს ეწინააღმდეგება. ამის გამო გაყრა რომელიც რეგისტრაციაში არ არის შეტანილი, კანონიერად არ ჩაითვლება.

2. შედეგი უკანონო მომხდარი გაყრის მდგომარეობს იმაში, რომ უკანონო გაყრილი კომლი მიწათმოქმედის დროს და საფონდო მიწების განაწილების დროს ითვლება ერთ კომლად, რამდენადაც არ უნდა იყოს იგი დაყოფილი ფაქტურად.

1927 წ. 15 ივლისი.

გამომცემელი:
საქ. ს. ს. რ. იუსტიციის
სახალხო კომისარიატი.

პასუხისმგებელი რედაქტორი: ი. ვარძიელი.
სარედაქციო კოლეგია: ა. კაჭარავა, ი. როინაშვილი,
პროფ. შ. ნუცუბიძე, ს. ჯაფარიძე, კ. მიქელაძე,
პ. ქავთარაძე.



„საბჭოთა სამართლის“ ხელისმომწერითა საყურადღებოდ რედაქცია აცხადებს:

- I. **სამაზრო სასამართლოებს:** დაახელონ ჟურნალის საფასურში დღეებში მიღებული ფულის და ანგარიშების გადმოგზავნა და აგრეთვე მომავალში რეგულარულად აწარმოონ ანგარიშები რედაქციის წინაშე.
- II. **პერსონალულ ხელისმომწერებს,** როგორც ადგილობრივ, აგრეთვე მასრებში, რომლებთანც სრულად არ გადუნდიათ ხელის მოწერის საფასური: დროსე შემოიტანონ მათსე დარჩენილი დავალიანება.
- III. **სამთავიურ ხელისმომწერებს:** ჟურნალ „საბჭოთა სამართალსე“ დაახელონ ხელისმოწერის განახლება, ვინაიდან შეექვე ნომრის შემდეგ მათ შეუწყდებთ ჟურნალის მიწოდება.

საქართ. ს.ს.რ. იუსტსახკომის გამომცემლობა

ი ბ ე ჯ დ ე ბ ა

საქ. სოხ. საბჭ. რესპუბლიკის

სისხლის სამართლის კოდექსი

1928 წ. რედაქციით

წიგნი გაიყიდება სახელგამის ყველა მაღაზრებაში და აგრეთვე მაზრის ცენტრებში სახალხო მოსამართლეებთან. ბითუმაღ იუსტსახკომის გამომცემლობის საფუოვში.

შეკვეთით უნდა მიმართონ: ტფილისი, ტრიბუნალის ქ. № 32 იუსტსახკომის გამომცემლობას.